პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 255 (10031) | ოთხშაბათი, 27 ოქტომბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, ოსტატებო! იბრძოლეთ ყველა სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულებისათვის! გამოავლინეთ და გამოიყენეთ წარმოების ახალი რეზერვები! უფრო ფართოდ დანერგეთ წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები! გააუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი, შეამცირეთ მისი თვითღირებულება!

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან).

ახალ წარმაჯებათა მოკოვებით ვუპასუხოთ პარჯიის მოწოდებებს

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის საზეიმო დღეების მოახლოება უკვე მკაფიოდ იგრძნობა ყველა ინდუსტრიულ საწარმოში, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე, სოფლად და ქალაქად.

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მიაღწიეთ ახალ წარმატებებს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში! გავაჩაღოთ საყოველთაო-სახალხო მოძრაობა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის — სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ საბრძოლო მოწოდების შესრულებისათვის იბრძვიან ქალაქისა და სოფლის მილიონიანი მასები, რომლებიც სასახელო გამარჯვებებით აღნიშნავენ შრომის ვახტზე დგომის ყოველ დღეს.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება მთელი სიცხადით გვიჩვენებს, თუ რაოდენ მდიდარია ჩვენი ხალხი შესანიშნავი ტალანტებით, უნარიანი, გონებამახვილი ადამიანებით, რომლებიც მთელ თავის შემოქმედებითს ენერგიას მიმართავენ დიადი საბჭოლის საკეთილდღეო შრომის გასაუმჯობესებლად, სახალხო დოვლათის გასამრავლებლად. მოწინავეთა რიგებში დგებიან ახალი ადამიანები, საამქროების, საწარმოო უბნების მთელი კოლექტივები, რომლებიც გვიჩვენებენ ნათლად განკარგულებაში არსებული მოწინავე ტექნიკის სრულად გამოყენების, რიტმული მუშაობის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების ნიმუშებს. ეს იწვევს შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, საერთო აღმავლობას.

ასეა ყველგან, სადაც ადგილობრივი საქეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებას ხელმძღვანელობენ არა ფორმალურად, მოვალეობის მოხდის მიზნით, არამედ ნამდვილად, საქმით, სადაც ისინი ენთუზიაზმით ჩაუდგნენ სათავეში მასების აქტივობას და ყველა შესაძლებლობით უჭერენ მხარს მოწინავეთა ინიციატივას.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ამწყობ საამქროში, რომელსაც ამხ. შ. თევზაძე ხელმძღვანელობს, ამწყობ-ზეინკალთა ექვსი ბრიგადა მუშაობს. წინათ ეს ბრიგადები ყველა ტიპისა და დანიშნულების მანქანისა და აპარატის აწყობაზე მუშაობდნენ. ბრიგადებს შორის განაწილებული არ იყო ფუნქციები, განხორციელებული არ იყო სპეციალიზაცია. საამქროს პროფორგანიზატორმა იხეინერმა თინა დევდარიანმა დაიყენა საკითხი, რომ უმჯობესია მოხდეს ბრიგადების სპეციალიზაცია, ყოველი ბრიგადა გამოიყოს ცალკე სახეობის მანქანის აწყობაზე, ადამიანებიც ამ ბრიგადებში შერჩეულ იქნან დაოსტატებისა და უნარის მიხედვით. საკითხის ასე გადაწყვეტა საამქროს კოლექტივის საწარმოო თათბირმა მოიწონა. პროფორგანიზატორის ინიციატივას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ქარხნის ხელმძღვანელებმაც (ქარხნის დირექტორი ამხ. გ. ბერძენიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. თ. კალანდადე, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ლ. ვაინშტეინი), დაუყოვნებლივ მიამგრეს ბრიგადები ცალკე მანქანებისა და აპარატების აწყობაზე. შრომის ორგანიზაციაში ასეთი ცვლილების შეტანამ ერთბაშად აამაღლა ამწყობ-ზეინკალთა შრომის ნაყოფიერება, გაადიდა მათი გამომუშავება, გამოიწვია მანქანების აწყობის ხარისხის გაუმჯობესება.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ნიმუში მოგვცეს თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის საქეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ხელმძღვანელებმა (ფაბრიკის დირექტორი ამხ. თ. გოგოლაძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. არითილაყვა, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ე. ნაზარეტიანი). მათ ოპერატიულად მოაწყეს შეჯიბრების შედეგების ყოველდღიური აღრიცხვა, შემოიღეს ყოველდღიური გარდამავალი ალმი იმ ბრიგადისათვის, რომელიც საღამოსათვის ყველაზე უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწევს, შემოიღეს აგრეთვე საამქროთაშორისო ყოველდღიური გარდამავალი დროშა, რომელსაც გუშინდაწინაურებულ საამქროს დღეს დილით ანიჭებს პროფორგანიზატორთა დილის ხუთწუთიანი თათბირი. გარდამავალი ალმებისა და დროშის დაწესებამ საერთო დაინტერესება გამოიწვია, აამაღლა მუშათა შრომითი აქტივობა, გააძლიერა ახალმოსულთა ლტოლვა პროფესიების სრულყოფილად დაუფლებისადმი, აღმოფხვრა გაცდენა.

ეს ორი მაგალითი გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მასების ინიციატივისათვის საწარმოს ხელმძღვანელების მხარდაჭერას, პროფკავშირული ორგანიზაციის მოქნილ, ოპერატიულ მუშაობას. ეს მაგალითები ცხადყოფს აგრეთვე იმას, რომ საწარმოში არსებულ ნაკლოვანებათა სწრაფად აღმოფხვრისათვის უმჯობესია საწარმოო თათბირების მოწვევა უფრო ხშირად არა საერთო-საქარხნო მასშტაბით, არამედ საამქროებში, საწარმოო უბნებზე, ბრიგადებში. ბრიგადაში, უბანზე, საამქროში უფრო რელიეფურად ჩანს ამა თუ იმ ნაკლის მიზეზი. მაშასადამე, უფრო ადვილიც არის ამ მიზეზის სალიკვიდაციო ღონისძიების დასახვა.

შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, დაუცხრომელი ზრუნვა სამუშაო ადგილის სრულყოფილად მოწყობისათვის ნიშნავს ყველა პირობის შექმნას შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად, მუშათა გამომუშავების გასაადიდებლად, პროდუქციის გამოშვების შეუნელებელი ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. არ უნდა დავივიწყოთ, რომ შრომის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად საჭიროა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა წინასწარ დასახვა და შემდეგ მათი განხორციელებისათვის შეუნელებელი მუშაობა. ასეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი კოლექტიურ ხელშეკრულებათა განუყოფელ ნაწილს შადგენენ და ნათი შესრულებისათვის თვალყურის დევნება საწარმოს პროფკავშირული ორგანიზაციის მთავარი ამოცანაა. სამწუხაროდ, ზოგ საწარმოში ადგილობრივი პროფკავშირული მუშაკები ამ მხრივ მოუქნელად მუშაობენ, ვერ იჩენენ წინდახედულობას და სათანადო სიმტკიცეს, რომ უზრუნველყონ საწარმოს ადმინისტრაციასა და კოლექტივს შორის ორმხრივ ვალდებულებათა დროულად შესრულება.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ძველად არის სამუშაოზე დაგვიანებით მოსვლის, გაცდენის შემთხვევები. ხშირად ეს გაცდენა გამოწვეულია მუშათა საქარხნო სასადილოს სივიწროვით. შესვენებისას სასადილოში მუშებს ლოდინი უხდებათ და, დრო რომ არ დაკარგონ, იქვე საქარხნო ტერიტორიის გარეთ გახსნილ სასაუზმეებში მიდიან ხელდახელ დასანაყრებლად, სასაუზმეში შესულთ კი ზოგჯერ „გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო“ შესვენების დამთავრებისას დაბრუნება აგვიანდებათ. საქარხნო პროფკავშირული ორგანიზაციის მუშაკები კი ასეთ მდგომარეობას ურიგდებიან.

გავამახვილოთ ქარხნის მთელი კოლექტივის ყურადღება შრომის ორგანიზაციის, სამუშაო ადგილის უკეთესად მოწყობის საკითხებისადმი, დავაწესოთ საზოგადოებრიობის კონტროლი კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ორმხრივ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობისადმი, ავამაღლოთ შრომის კულტურა და განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა, — ასეთია საწარმოთა პროფკავშირული მუშაკების ამოცანა, რომელსაც ისინი წარმატებით გაართმევენ თავს იმ პირობით, თუ მათ დაეხმარებიან საწარმოთა სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებანი დიდ ამოცანებს უსახავენ ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის, მთელი სახალხო მეურნეობის მუშაკებს:

— მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, ოსტატებო! იბრძოლეთ ყველა სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულებისათვის! გამოავლინეთ და გამოიყენეთ წარმოების ახალი რეზერვები! უფრო ფართოდ დანერგეთ წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები! გააუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი, შეამცირეთ მისი თვითღირებულება!

შესრულებულია ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმა

საქართველოს სს რესპუბლიკამ 23 ოქტომბრისათვის 102,4 პროცენტით შეასრულა ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 90 ათასი ტონის ნაცვლად დამზადებულია 92.130 ტონა ყურძენი.

ყურძნის დამზადების გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს გურჯაანის, სიღნაღის, ყვარლის, ზესტაფონის, ორჯონიკიძის, თერჯოლის, საჩხერის, კასპისა და სხვა რაიონებმა.

ყურძნის დამზადება გრძელდება. (საქდესი).

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★ ★

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა საშემოდგომო თესვის გეგმა შეასრულეს

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა 25 ოქტომბრისათვის 102 პროცენტით შეასრულეს საშემოდგომო თესვის გეგმა. დათესილია 22.771 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 22.300 ჰექტარისა. აქედან ჯვარედინად დათესილია 22.240 ჰექტარი ნაცვლად 16.000 ჰექტარისა.

საშემოდგომო თესვა გრძელდება.

ღაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა საშემოდგომო თესვის გეგმა შეასრულეს

ღაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა საშემოდგომო თესვის გეგმა 25 ოქტომბრისათვის 100,3 პროცენტით შეასრულეს. დათესილ 9.630 ჰექტარი, გეგმა კი 9.600 ჰექტარს ითვალისწინებდა. ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად დაითესა 7.418 ჰექტარი.

თესვა გრძელდება.

საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმა

საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებმა 25 ოქტომბრისათვის 100,8 პროცენტით შეასრულეს საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმა.

თესვა გრძელდება.

ვანის მჯს-მა ხვნის წლიური გეგმა შეასრულა

ვანის რაიონის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა შეასრულა 1954 წლის სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა. მოხნულია 15.387 ჰექტარი, გეგმა კი 15.000 ჰექტარს ითვალისწინებდა.

მექანიზატორებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოხნან 1.500 ჰექტარი რბილ ხვნაზე გადაყვანით.

ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხეგენ მშრომელები პარტიის საოქტომბრო მოწოდებებს

პარჯიის მოწოდებით

დიდი ინტერესით ეცნობიან თბილისის საწარმოთა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებს.

ამ დღეებში საწარმოთა კოლექტივები გეგმის გადამეტებით უშვებენ ჩარხებს, მანქანებს, ფართო მოხმარების საქონელს.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, — განაცხადა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ლენტურ-მფთილავი საამქროს ოსტატის თანაშემწემ გ. ჭელიძემ, — მოგვიწოდებს გამოვავლინოთ და გამოვიყენოთ წარმოების ახალი რეზერვები. ჩვენი საწარმოს კოლექტივმა წლის დამდეგიდან ჩვენს ქვეყანას გეგმის გადაჭეტებით მისცა 62.000 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ნარნი, 10.000-ზე მეტი წყვილი აბრეშუმის წინდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, — განაცხადა ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ა. მასხარაშვილმა, — მოგვიწოდებს ფართოდ დანერგოთ წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები. ჩვენს ქარხანაში ფართოდ დანერგილია დიდი დეტალების თერმული დამუშავება, ლითონის ძალოსნური და ჩქაროსნული ჭრა და სხვ. ამ მეთოდების გამოყენებამ შესაძლებლობა მოგვცა წლითიწლობით გაგვედიდებინა პროდუქციის გამოშვება. 1955 წელს ქარხნის საწარმოო პროგრამა მიმდინარე წელთან შედარებით 40 პროცენტით გადიდდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებისადმი მიძღვნილი საუბრები გაიმართა ქალაქის სხვა საწარმოებშიც.

(საქდესი).

სოფლის მეურნეობის მშრომელთა სიტყვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავისათვის მხურვალედ გამოეხმაურნენ თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეები და მტს-ების მექანიზატორები.

საუბრის დროს, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებს, სოფელ კოდის კოლმეურნეობაში სიტყვა წარმოთქვა ბრიგადირმა ი. კვიკაძემ.

— ჩვენმა კოლმეურნეობამ, — თქვა მან, — ხორბლის, ხელის, ბოსტნეულის კარგი მოსავალი მოიყვანა, გაადიდა ძროხების პროდუქტიულობა. მეურნეობის ფულადი შემოსავალი 700 ათასი ნაღდითით აღემატება წარსულდელს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ დავკმაყოფილდით მიღწეულით. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი სოფლის მშრომელებს ახალი წარმატებებისაკენ მოუწოდებს უხვი ნოსავლის მოყვანაში. საკვებმომპოვებელმა ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, უზრუნველყო პირუტყვი უხეში და წვნიანი საკვების საკმაო რაოდენობით.

დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებს ასურეთის მტს-ის მექანიზატორები.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი, — თქვა ტრაქტორისტმა ვ. დალაქიშვილმა, — ნოგვიწოდებს ჩვენ, მექანიზატორებს, უკეთ ავითვისოთ და სრულად გამოვიყენოთ ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. მე ვადაზე სამი თვით ადრე გავანაღდე სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა. ჩვენი ტრაქტორით „კდ-35“ მუშაობა შევასრულე 800 ჰექტარ ფართობზე რბილ ხვნაზე გადაყვანით და დავზოგე 700 კილოგრამამდე საწვავი. ვალდებულებას ვკისრულობთ ახალი შრომითი საჩუქრებით ვუპასუხოთ მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდებებს. (საქდესი).

ლანჩხუთის რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა შეასრულა

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა 25 ოქტომბრისათვის აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა 100,1 პროცენტით შეასრულეს. დამზადებულია 225.250 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, გეგმა კი 225.000 კილოგრამს ითვალისწინებდა. ხარისხოვანი პარკის დამზადების გეგმა 102 პროცენტით შესრულდა.

პარკის დამზადება გრძელდება.

მწყობრში ჩადგა ქსოვილის გამომყვანი ფაბრიკა

ბორი, 25 ოქტომბერი. (საქდესი) მწყობრში ჩადგა ბორის ბამბეულის კომბინატის გამონყვანი ფაბრიკა. აქამდე ხამი ქსოვილი, რომელიც აქ მზადდებოდა, საბოლოო გამოყვანისათვის ეგზავნებოდა ჩვენი ქვეყნის სხვა საწარმოებს. ახლა კი საქართველოს საეჭრო ორგანიზაციები მიიღებენ საფეიქრო ნაწარმს ბორის კომბინატის მარკით. უკვე განოვებულია ასეულ ათასობით მეტრი ბამბის ქსოვილი.

ფაბრიკის საამქროებში დამონტაჟებულია უახლესი მოწყობილობა. მაგალითად, ქსოვილის გამოყვანის საამქროში დადგმულია 130 ნეტრი სიგრძის დიდი აგრეგატი, რომელიც შედგება 22 სხვადასხვა მანქანისაგან. მას მომსახურებას უწევს სულ ათი მუშა.

ბორელმა ფეიქრებმა ვალდებულება იკისრეს ყოველდღიური გამონუშავება აიყვანონ 40 ათას მეტრამდე, ხოლო 7 ნოემბრისათვის გამოუშვან ერთ მილიონამდე მეტრი სათეთრეულე ქსოვილი. გადაწყვეტილია აგრეთვე წლის დამლევამდე აითვისონ ორი ახალი სახეობის ქსოვილის გაინოყვანის ტექნოლოგია.

ახალ მოწყობილობას ამონტაჟებენ სამღებრო და საჩითავ საამქროებში. მათი ამუშავებით დაიწყება მოჩითული ბამბის ქსოვილების გამოშვება. უკვე შემუშავებულია 30-ზე მეტი მოხატულობა, რომლებიც დამტკიცა სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს სამხატვრო საბჭომ.

კარტოფილის მოსავლის აღება კომბაინით

წალკა. (საეც. კორ.). დოვლათით ახარებს გულს ბარაქიანი შემოდგომა. ყველგან მომხიბლავი სურათია, იგრძნობა სიუხვე. წლევანდელი შემოდგომა წალკელი მშრომელებისათვის სულ სხვაა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შემდეგ კოლმეურნეებს უკეთეს პირობებში მოუხდათ მუშაობა. როგორც ავრანლოს, ისე წალკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში მიიღეს ახალი მანქანები: კარტოფილის სარგავი მანქანები, მწკრივთა შორის ნიადაგის დასამუშავებელი კულტივატორები და სხვ.

მოწინავე კოლმეურნეობებმა წელს პირველად დანერგეს მოსავლიანობის გადიდების პროგრესული წესი — კვადრატულ-ბუდობრივი რგვა და ნათესების ორმხრივი მიმართულებით მექანიზებული დამუშავება. სადაც ეს ახალი წესი კარგად განახორციელეს, იქ მოსავლმაც საგრძნობლად იმატა. მაგალითად, სოფელ აშკალას (თავმჯდომარე გ. ანდრიასიანი) კოლმეურნეობაში 160 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 50-80 ცენტნერით მეტ კარტოფილს იღებენ ჩვეულებრივ დარგულთან შედარებით. პირველმა ბრიგადამ (ხელმძღვანელი ბ. ჯამგოციანი) კვადრატულ-ბუდობრივად დარგულ თვითეულ ჰექტარზე 270 ცენტნერი კარტოფილი მიიღო, ხოლო ჩვეულებრივი წესით დარგულ თვითეულ ჰექტარზე — მხოლოდ 180 ცენტნერი. ასეთი მაგალითი წალკის რაიონში ბევრია. კოლმეურნეებისა და მექანიზატორების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ამას წინათ საკოლმეურნეო მინდვრებში პირველად იხილეს კარტოფილის მოსავლის ასაღები კომბაინი „კკრ-2“.

კომბაინი „კკრ-2“ პირველად სოფელ ყიზილქილისის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მინდორში აამუშავეს. დილის 7 საათი იყო. წალკის შარაგზა დაესრულებელმა ხმაურმა მოიცვა. კოლმეურნეები და მექანიზატორები მიიჩქაროდნენ მინდვრისაკენ... ყველას აინტერესებდა კომბაინის მუშაობა. „დტ-54“ მარკის ტრაქტორის გუგუნი, რომლის საჭეს ავრანლოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორი ვ. ტოსუნოვი მართავდა, სოფლამდე აღწევდა. მოვიდნენ კოლმეურნეები და მექანიზატორებიც. კომბაინი „კკრ-2“ მუშაობას განაგრძობდა.

დღეში 3-3,5 ჰექტარი კარტოფილის მოსავლის აღება ერთი კომბაინით — ეს მართლა სასიხარულოა.

კარტოფილის ასაღებ მანქანას 5 კაცი ემსახურება: ტრაქტორისტი ვ. ტოსუნოვი, კომბაინერი ო. ოსკანიანი, კომბაინერის თანაშემწე ლ. ეშნოვი, რომლის მოვალეობაა კომბაინის ბუნკერიდან კარტოფილით დატვირთული ჯალათების მიწაზე დაშვება და სათადარიგო ჯალათების ბუნკერთან მიწოდება. კომბაინთან მუშაობს აგრეთვე ორი დამხმარე კოლმეურნე ლ. ნალბანდიანი და ა. არუთინოვი, მათ მოვალეობაა აღებულ კარტოფილს ბუნკერიდან ჯალათში ჩაცვივნამდე მოაშორონ ბელტები.

მეტად საინტერესოა ამ კომბაინის მუშაობა. მას ნორმალურ პირობებში შეუძლია 140-150 კაცდღის ეკონომია მოგვცეს.

კარტოფილის ასაღები კომბაინი „კკრ-2“ ორორგიანია. ამოთხრილი კარტოფილი მიწასთან ერთად მიდის ფოლადის წნელებისგან დამზადებულ ჯასკადურ ელევატორზე, რომელიც მუდამ რხევითს მოძრაობაშია. აქ პატარა ზომის ბელტები ცვივა წნელებს შორის, ხოლო დიდი ზომის ბელტები მიაქვს ელევატორს ზევით და აწვდის ფოლადის ლილვს, რომელიც ამტვრევს მათ. აქვე ხდება კარტოფილის ტუფერებისათვის ფოჩების მოცილება. გაწმენდილი კარტოფილი იყრება ბუნკერში, იქიდან კი ბუნკერის ქვეშ მოთავსებულ ჯალათში.

უნდა აღინიშნოს, რომ ავრანლოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურში კარტოფილის ასაღები კომბაინის შეუფეთხებლად მუშაობა უზრუნველყოფილი არ არის. საკოლმეურნეო მინდვრებში ბრირად ნახავთ ქვებს. ნიადაგი ათ არის ფხვიერი. ყოველივე ამის გამო კომბაინი კარტოფილის აღებისას დიდი რაოდენობით აყოლებს ბელტებს. კარტოფილის მოსავლის ასაღებმა მანქანამ შეუფერებლად რომ იმუშაოს, ამისათვის საჭიროა ნიადაგი იყოს ფხვიერი და სუფთა. ეს მდგომარეობა შემდეგში უნდა გითვალისწინონ როგორც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკებმა, ისე წალკის რაიონის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა.



კარტოფილის მოსავლის აღება კომბაინით წალკის რაიონის სოფელ ყიზილქილისის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაცია და სოციალისტური შეჯიბრება

ჭიათურის მარგანტრესტის ლენინის სახელობის მაღაროში სოციალისტური შეჯიბრების კარგად დაყენებით უნდა აიხსნას, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სამჯერ და უფრო მეტად გაიზარდა მარგანეცის მადნის დამზადება, გადიდდა შრომის ნაყოფიერება და ამაღლდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

მაღაროს პარტიული კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად განიხილავენ სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, შრომის ნოვატორული მეთოდების ფართოდ დანერგვის საკითხებს. პარტიულმა კომიტეტმა გასული წლის დეკემბრის ბოლო რაცხვებში განიხილა საკითხი 1954 წელს სოციალისტური შეჯიბრების გაშლის ღონისძიებათა შესახებ.

სოციალისტური შეჯიბრების შემოწმების შედეგების მიხედვით მიმდინარე წლის რვა თვის განმავლობაში მაღაროს კოლექტივი ყოველთვის იმარჯვებდა. ცხრა თვის გეგმა მაღაროომ 17 სექტემბერს შეასრულა. მასალებისა და ელექტროენერგიის მომჭირნედ ხარჯვით მიღწეულია დიდი ზეგეგმითი მოგება. ამ წარმატებათა მოპოვებაში დიდი როლი შეასრულა პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელმაც მთავარ ამოცანად დაისახა მაღაროში შრომის ნაყოფიერების მკვეთრად ამაღლება, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის განხორციელება.

პარტიული ორგანიზაცია ზრუნავს ნოვატორთა მუშაობის მეთოდების პოპულარიზაციისა და წარმოებაში ფართოდ დანერგვისათვის. ნოვატორმა გ. თოდაძემ შეიმუშავა ღრმა ბურღვის მეთოდი, რომელიც მოსამზადებელ სამუშაოთა დაჩქარების საშუალებას იძლევა. პარტიულმა ორგანიზაციამ მიიღო ზომები ამ მეთოდის ფართოდ დანერგვისათვის. ამჟამად მაღაროში გ. თოდაძის მეთოდით მბურღავების უმრავლესობა მუშაობს. განსაკუთრებით დიდ წარმატებას აღწევენ კომუნისტები გ. და ი. შეყლაშვილები და ნ. სამხარაძე. გ. თოდაძის მეთოდის მასობრივად დანერგვამ საგრძნობლად გაზარდა შრომის ნაყოფიერება. პარტიულმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია აგრეთვე მეორე საწარმოო უბნის მტვირთავი მანქანის მოწინავე მემანქანის შ. სირაძის მუშაობის მეთოდის ფართოდ დანერგვისათვის.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველაზე კარგი შედეგები იმ უბნებს აქვთ, რომლებსაც კომუნისტები გ. გაფრინდაშვილი, პ. ჩაჩანიძე, ა. ნასარიძე, შ. გამეზარდაშვილი და გ. ჩაჩანიძე ხელმძღვანელობენ. ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკის გამგე კომუნისტი ა. მოდებაძე, მთავარი ინჟინერი ი. კაკაბაძე და მთავარი მექანიკოსი შ. რიჟამაძე სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებენ.

სოციალისტურ შეჯიბრებას კარგად ხელმძღვანელობენ წიფისწყაროს მაღაროს, კოროხნალის მაღაროს და ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციები (პარტბიუროს მდივნები დ. ღუღუნიშვილი, პ. ფალავანდიშვილი და მ. შეყლაშვილი). დასახელებული ორგანიზაციები პარტიულ კრებებზე და ბიუროების სხდომებზე რეგულარულად განიხილავენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, რაზმავენ მაღაროელებს ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის, ახალი საწარმოო რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენებისათვის საბრძოლველად.

ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლას ხელს უწყობენ მაღაროთა პარტიულ ორგანიზაციებთან არსებული აგიტკოლექტივები. აგიტატორები თავიანთ საუბრებს მჭიდროდ უკავშირებენ წარმოების ყოველდღიურ საკითხებს. ამ მხრივ გამოირჩევიან აგიტატორები ა. ნასარიძე, გ. ჩაჩანიძე, ი. ფხალაძე, ბ. კუპატაძე, გ. ტყემალაძე, ს. ნეფარიძე და რ. დევიძე.

სერიოზული ყურადღება ექცევა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული უბნების, ცვლებისა და მუშების წახალისებას. წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ 7 უბანს და 7 ცვლას გადაეცა მაღაროს დირექციისა და პროფკავშირის მაღაროს კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, სპატიო წიგნში შეტანილია 5 კაცი, ქების სიგელი გადაეცა 27 კაცს.

ამჟამად მაღაროში ფართოდ გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში ჩაბმულია 14 საწარმოო უბანი, 51 ცვლა, მარგანეცის გამაუხვებელი ფაბრიკა და წამყვანი კვალიფიკაციის მუშები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავისათვის მაღაროელები ახალი საწარმოო წარმატებებით უპასუხებენ.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა, პარტიულ კომიტეტს ჯერ კიდევ აქვს ნაკლოვანებანი სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში. მთლიანად აღმოფხვრილი არ არის ფორმალური დამოკიდებულება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისადმი.

პარტიული კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები შემდგომ მუშაობაში გაითვალისწინებენ ამ ნაკლოვანებებს, გადაჭრით გაუმჯობესებენ ხელმძღვანელობას სოციალისტური შეჯიბრებისადმი.

გ. ყიფშიძე,

ჭიათურის მარგანტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს პარტიული კომიტეტის მდივანი.

საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა კრება

სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა კრება.

კრებამ მოისმინა საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის საბჭოს გამგეობის თავმჯდომარის ამხ. მ. ჩხეიძის მოხსენება სპბჭოს მუშაობის შესახებ და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ხ. ავეტისოვის ანგარიში.

საქართველოს სარეწაო კოოპერაცია ფართო მოხმარების საქონლით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მნიშვნელოვანი წყაროა. რესპუბლიკის სარეწაო კოოპერაციის საწარმოები წლითიწლობით ადიდებენ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვებას. საანგარიშო პერიოდში — 1951-1954 წლებში პროდუქციის გამოშვება გადიდდა 34,1 პროცენტით. წელს მოსახლეობა სარეწაო კოოპერაციისაგან მიიღებს 110 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების ფართო მოხმარების საქონელს, ვიდრე შარშან.

წელს კარგად მუშაობდა და 9 თვეში წლიური პროგრამა შეასრულა ბევრმა არტელმა. მაგრამ 234 არტელიდან დაახლოებით ნახევარს არ გააჩნია განვითარების პერსპექტივა, რადგან მცირე მოცულობის წარმოებას გამო ისინი რენტაბელური არ არიან. ბევრ არტელს აქვს მრავალი, მაგრამ სუსტი სამძლავრის საწარმოები. მაგალითად, არტელ „ინსინათლეს“ თბილისში აქვს 60 მცირე საწარმოო საამქრო და სახელოსნო. არტელებისა და მათი საამქროების მუშაობაში ბევრი პარალელიზმია. მაგალითად, სამკერვალო საქმეზე მუშაობს 83 არტელი, აქედან სპეციალიზებულია მხოლოდ 4. 21 ლითონდამმუშავებელი არტელიდან სპეციალიზებულია 11, 30 ხისდამმუშავებელი არტელიდან კი მხოლოდ 6 არტელი. ეს ხელს უშლის ახალი ტექნიკის დანერგვას.

სარეწაო კოოპერაციის ამოცანა ის არის, რომ გაამსხვილოს საწარმოები, მოახდინოს მათი სპეციალიზება, აღჭურვოს ისინი მოწინავე ტექნიკით.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა სარეწტყეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ს. ჯეგაშვილმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ი. კოჭლამაზაშვილმა, სხვადასხვა სამრეწველო არტელების კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. გახოკიძემ, არტელ „კერამიკის“ ტექნიკურმა ხელმძღვანელმა ა. სიხარულიძემ, აჭარის ასსრ სარეწაო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარემ გ. აბესაძემ, არტელ „მელითონის“ გამგეობის თავმჯდომარემ ს. თარხანოვმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ ჩარხებსა და მანქანებს, რომლებიც ისედაც საკმაოდ არა აქვთ, ცუდად იყენებენ. საფეიქრო-სამკერვალო კავშირის არტელებში დღემდე არ დაუდგამთ 16 ავტომატური საქსოვი დაზგა, მოცდენილია 18 წინდისსაქსოვი ავტომატი. საქართველოს სარეწაო-ტექნიკური მომარაგების საწყობებში 1952 წლიდან აწყვია 30 პნევმატიკური წინდისსაქსოვი მანქანა, 15 წინდისსაქსოვი ავტომატი და 19 სხვადასხვა დიდი წარმადობის მანქანა.

საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის საწარმოები გადაჭარბებით ასრულებენ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმებს, მაგრამ წლითიწლობით ვერ ასრულებენ ასორტიმენტისა და ხარისხის მაჩვენებლებს. 35 სახეობის ნაწარმიდან, რაც გათვალისწინებულია სახალხო-სამეურნეო გეგმით, არ სრულდება დავალება 22 სახეობის დარგში. მათ რიცხვს ეკუთვნის მაგარი ტყავსაქონელი, აგური, კრამიტი, ბამბეულეულის და აბრეშუმის ქსოვილები და სხვ.

სუსტად ვითარდება ადგილობრივ სახეობათა ნედლეულის ნაწარმის მრეწველობა. გამოყენებული არ არის ხალხური მხატვრული რეწვის შემდგომი განვითარების არსებული შესაძლებლობანი. სარეწაო კოოპერაციას არა აქვს ისეთი სარეწები, როგორიც არის ხალიჩის ხელით ქსოვა, საიუველირო, კერამიკული წარმოება და ქვაზე ნაკვეთი ნაწარმი, ეროვნული ნაქარგი, ხის, ქვის, თიხის, რქისა და სხვ. სუვენირების ნაკეთობა.

ჩამორჩება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნომსახურება. სარემონტო-შემკეთებელი სახელოსნოების ქსელი აშკარად არ კმარა. სრულებით არ არის მოწყობილი მოსახლეობის მომსახურება მაცივრების, ფოტოაპარატების, ველოსიპედების, საკერავი მანქანების, ელექტროარმატურის შეკეთების დარგში.

სარეწაო კოოპერაციის ობიექტების გამსხვილებასთან დაკავშირებით შენდება დიდი სპეციალიზებული საწარმოები. თბილისში შენდება სამკერვალო, წინდის ნაკეთობის, სატრიკოტაჟო, საკონდიტრო ფაბრიკები, სამსხმელო-მექანიკური ქარხანა, სტალინირში, ახალდაბასა და ოჩამჩირეში — აგურის ქარხნები, ქსანში — კრამიტის ქარხანა.

მაგრამ ეშენებლობის სამუშაოები მეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. საერთო გეგმით გათვალისწინებული 25 მილიონი მანეთის კაპიტალდაბანდების ნაცვლად მიმდინარე წლის 9 თვეში შესრულებულია 11 მილიონი მანეთის სამუშაოები.

კრებაზე გამოსულმა სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური სპბჭოს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ვ. ლიოვკინმა ილაპარაკა სარეწაო კოოპერაციის მუშაკთა ამოცანებზე.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. ნეკვანაძემ.

მოსმენილ მოხსენებათა გამო მიღებულია სათანადო დადგენილება.

არჩეულ იქნა საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის საბჭო, სარევიზიო კომისია და სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატები.

საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის სპბჭოს პირველ სხდომაზე არჩეულ იქნა გამგეობა. საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. მ. ჩხეიძე. (საქდესი).

შ. ნ. დადიანის იუბილე

საქართველოს ... ფართოდ ... მატურგის, პროზაიკოსის, რესპუბლიკის სახალხო არტისტ შ. ნ. დადიანის დაბადების 80 წლისთავს და ლიტერატურულ-თეატრალური მოღვაწეობის 60 წლისთავს.

25 ოქტომბერს თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ამ თარიღისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. თეატრში შეიკრიბნენ ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწეები, ქალაქის მოწინავე მუშები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სპბჭოთა მწერლების კავშირის პირველმა მდივანმა ი. აბაშიძემ. მოხსენება შ. დადიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გაკეთა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანმა ს. ჭილაიამ.

მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა თვალსაჩინო დრამატურგისა და ქართული თეატრის მოღვაწის შემოქმედებითი გზა. შ. დადიანის კალამს ეკუთვნის ორმოცამდე პიესა. მისი გამოჩენილი ისტორიულ-რევოლუციური დრამა „ნაპერწკლიდან...“ ჩვენი ქვეყნის მრავალი თეატრის სცენაზე იდგმება. მიუხედავად ხანდაზმულობისა, შ. დადიანი დიდ შემოქმედებითს და საზოგადო მუშაობას ეწევა.

შ. დადიანის დამსახურება ღირსეულად დააფასეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და სპბჭოთა კავშირის medlebiT.

იუბილარს გულთბილად მიესალმნენ სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირისაგან დრამატურგი ა. კორნი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. ნუსხელიშვილი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვ. კუპრაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი შ. ღამბაშიძე, პოეტი-დრამატურგი მ. ბარათაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. ბეროიანი და სხვები.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა შ. ნ. დადიანმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. ნან მადლობა გადაუხადა პარტიას, მთავრობას მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მაღალი შეფასებისათვის.

იუბილარის სახელზე მიღებულია მრავალი მისალმება, მათ შორის სსრ კავშირის სპბჭოთა მწერლების კავშირისაგან, მოძმე რესპუბლიკების სპბჭოთა მწერლების კავშირებისაგან.

საღამოზე აჩვენეს შ. დადიანის პიესების ნაწყვეტები.

* * *

შ. რუსთაველის სახელობის თეატრის ფოიეში გაიხსნა მასალების გამოფენა, რომელიც ასახავს შ. დადიანის ცხოვრებასა და შემოქმედებითს მოღვაწეობას. (საქდესი).



ექსკურსანტთა ერთი ჯგუფი გორის რაიონიდან სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის პავილიონში ეცნობა სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად სათეს ახალ მანქანას. ფოტო შ. კუკულავასი.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

გამოფენის გული

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.. ასეთი წარწერები მეტად პოპულარულია ჩვენი დიდი ქვეყნის გულში — მოსკოვში. საჭერდე ნიშნებზე, ტრამვაისა და ტროლეიბუსში, ავტომანქანებზე — ყველგან წაიკითხავთ მათ. ეს წარწერები მოგვიწოდებენ: ჩამოდით მოსკოვში, გაიარეთ ამ დიდად სტუმართმოყვარე ქალაქის შესანიშნავ ქუჩებში, ნახეთ და დატკბით სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენით.

მრავალი მნახველი ჰყავს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის პავილიონს, რომელიც გამოფენის სული და გულია. იგი მოთავსებულია მთავარი ხეივნის ბოლოს.

პარტიის მიერ შექმნილმა მძლავრმა ინდუსტრიამ სოციალისტური სოფლის მეურნეობა შეაიარაღა მძლავრი ტექნიკით. შედიხართ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის პავილიონში და თვალწინ წარნიგიდგებათ სოციალისტური ინდუსტრიის დიადი სასახლე. გამოფენის ეს უდიდესი ნაგებობა — პავილიონის მონუმენტური შენობა აგებულია სტალინური პრემიის ლაურეატების ვ. ანდრეევისა და ი. ტარანოვის პროექტით. შენობის საერთო მოცულობა დაახლოებით 360 ათასი კუბური მეტრია. პავილიონის 26 დარბაზში, რომელთა ფართობი 18 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს, ჩამწკრივებულია სპბჭოთა მეცნიერების, ტექნიკისა და შრომის შემოქმედებითი თანამეგობრობით შექმნილი სხვადასხვა ნიმუშის პირველხარისხოვანი მანქანები და იარაღები. არ არის სოფლის მეურნეობის ისეთი დარგი, რომლისთვისაც ჩვენი ინდუსტრია არ ამზადებს საჭირო მანქანებსა და მექანიზმებს.

პავილიონში მანქანებისა და იარაღების ტევა არ არის. მძლავრი მანქანების ახალ წყებას ენახულობთ ღია მოასფალტებულ მოედნებზე, სხვა პავილიონების გვერდით.

ამა სცადეთ ფანჯრითა და ბლოკნოტით შეიარაღებულმა ჩაიწეროთ პავილიონში და ღია მოედნებზე გამოფენილი ახალი მანქანებისა და იარაღების მარკები. ასეთი სასიამოვნო მუშაობის დროს მნახველის ყურადღებას იპყრობს ერთი თავისებურება.

ამჟამად სპბჭოთა ინდუსტრიის მიერ ათვისებულია საკიდი მანქანებისა და იარაღების წარმოება. სწორედ ეს სიახლე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაში, ეს თავისებურება ნათლად ასახულია პავილიონში. ბუნებრივად იბადება კითხვა, რა უპირატესობა აქვს საკიდი მანქანებისა და იარაღების წარმოებას? ამას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში საკიდი სისტემის დანერგვა ქვეყანას აძლევს ლითონის დიდ ეკონომიას, აუმჯობესებს აგრეგატების მართვას, ამაღლებს ნიადაგის დამუშავების ხარისხს.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის პავილიონში თავმოყრილია მთელი სატრაქტორო ტექნიკა, დაწყებული მძლავრი „ს-80“ მუხლუხა ტრაქტორით, „დტ-54“ ტრაქტორით და დამთავრებული „ხტზ-7“-ით. მუხლუხა სათოხნი ტრაქტორი „კდპ-35“ და თვლიანი ტრაქტორი „ბელარუსი“, რომელთა ნიმუშები წარმოდგენილია პავილიონში, სოფლის მეურნეობაში ასრულებენ თესვის, რგვისა და სათოხნ კულტურათა მოვლის სამუშაოების ძირითად ნაწილს. ახალი სპბჭოთა ტრაქტორები 30 პროცენტით ადიდებენ ეკონომიას და ორჯერ უფრო ხანგრძლივად მუშაობენ კაპიტალურ რემონტამდე. ეს საშუალებას იძლევა საექსპლოატაციო ხარჯები საშუალოდ 57 პროცენტით შემცირდეს.

აქვეა სათოხნი და ბაღ-ბოსტნის ტრაქტორები, საკიდი იარაღებით რომ სარგებლობენ.

დიდი პერსპექტივები აქვს სოფლის მეურნეობაში ელექტროენერგიის დანერგვას. პავილიონში ყურადღებას იპყრობს ელექტროტრაქტორები, რომელთა ფართო სამეურნეო გამოყენება სპბჭოთა კავშირში 1949 წლიდან დაიწყო. პავილიონის 248 სტენდზე საუცხოო გამოცდილებას ვეცნობით. აი მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის ვლადიმერ ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის სტენდი. ამ საგარეუბნო კოლმეურნეობაში ამჟამად დადგმულია 38 ელექტრომძრავი 298 კილოვატის სიმძლავრისა. მეცხოველეობაზე იხარჯება ელექტროენერგიის 57 პროცენტი, მემინდვრეობაზე — 26 პროცენტი, სარემონტო სახელოსნოებზე — 17 პროცენტი. კოლმეურნეობა მეცხოველეობის პროდუქტებით ამარაგებს ქალაქს. ელექტროენერგიის გამოყენება ამ კოლმეურნეობას ყოველწლიურად აძლევს 66.800 კაცდღის ეკონომიას.

მძლავრ რიგებად ჩაწკრივებულან პურეულის მოსავლის ასაღები მანქანები. რა დიდი სიახლეა შეტანილი არსებული მარკების კომბაინებში სპბჭოთა კონსტრუქტორების და თვით მოსავლის აღების ოსტატების წინადადებებით. ავიღოთ კომბაინი „ს-4 პ“. ეს ახლა ჩვეულებრივი თვითმავალი კომბაინი აღარ არის. იგი გაუჯობესებულია, სრულყოფილი მანქანაა. პირველი, რაც თვალში გეცემათ, ის არის, რომ მანქანა მოწყობილია ნახევრადმუხლუხა სვლაზე, რაც მნიშვნელოვნად ადიდებს მანქანის სისწრაფეს და დიდად გამოსაყენებელია ჩვენი ქვეყნის გადიდებული ტენიანობის ზონისათვის. კომბაინი „სტალინეცი-6“-ც უფრო სრულყოფილია კომბაინ „სტალინეც-6“-თან შედარებით.

მნახველთა დიდ ყურადღებას იპყრობს ნანქანები მოსავლიანობის გადიდების ისეთ პროგრესულ ღონისძიებათა განსახორციელებლად, როგორიც არის თავთავიანი კულტურების ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვა, ბოსტნეულის და სათოხნი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივად თესვა, აგრეთვე ტორფნეშომპალის ქოთნებში გამოყვანილი ჩითილების სარგავი მანქანები. თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს კარტოფილის მოყვანის საქმეში მექანიზაციის ფართოდ დანერგვას, ამას მოწმობს გამოფენაზე წარნიგდგენილი მანქანები, მათი ეუშაობის ეკონომიური ანალიზი. მოწინავე კოლმეურნეობის მაგალითზე ნაჩვენებია, რომ ერთი ჰექტარი კარტოფილის ნანქანით დარგვაზე შრომის დანახარჯი შეადგენს 5,6 კაცდღეს ანუ თითქმის 10-ჯერ ნაკლებია იმ შრომასთან შედარებით, რაც საჭიროა ერთი ჰექტარი კარტოფილის ცხენის საშუალებითა და ხელით დარგვისათვის. გამოანგარიშებულია, რომ ამ შემთხვევაში იხარჯება 53 კაცდღე. ყურადღებას იპყრობს კარტოფილის ასაღები კომბაინები „კკრ-2“ და „კოკ-2“. ეს მძლავრი კომბაინები ნიჭიერი სპბჭოთა კონსტრუქტორების მიერ შექმნილია უკანასკნელ დროს.

ეცნობით შაქრის ჭარხლის ასაღები კომბაინის კონსტრუქციას. კომბაინი სათუთად თხრის შაქრის ჭარხალს ნიადაგიდან, ასუფთავებს, ფოჩს აცლის და ბუნკერში აგროვებს. აქვეა კომბოსტოს ასაღები ახალი მანქანა „პკნ-1“, რომლის წარმადობა დღეში 1-1,5 ჰექტარს შეადგენს.

ომისშემდგომ წლებში შექმნილია სიმინდის, სასილოსე კულტურებისა და სელის კომბაინები, აგრეთვე ბამბის ასაღები მაღალი წარმადობის მანქანა. სიმინდის ასაღები კომბაინი „კუ-2“ ჭრის ღეროს, ტაროს ფუჩეჩს აცლის, ღეროს სასილოსე მასად აქუცმაცებს. მისი წარმადობა საათში 0,7 ჰექტარია.

პავილიონში ნახავთ ჩაის ბუჩქების სასახლავ მანქანას „ჩუგ-1,6“, რომელიც გამოსაყენებელია როგორც დაბლობ, ისე მთიან რაიონებში. ამ მანქანის უპირატესობა ის არის, რომ აქვს სხვადასხვა მოწყობილობა, რომლითაც ნიადაგში შეიტანოთ მინერალური სასუქები და ვაწარმოოთ ჩაის ბუჩქების მწკრივთა შორის გაფხვიერება-კულტივაცია.

ფართო წყებად არის წარმოდგენილი ნიადაგის დამუშავებელი მანქანები, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს არხისსათხრელები, სადრენაჟო და ჭაობში სამუშაო გუთნები, დისკოანი ფარცხები, კულტივატორები.

პავილიონში ნახავთ მცენარეთა დაავადებასთან ბრძოლისათვის განკუთვნილ ახალ ნანქანებს. მშვენივრად არის ნაჩვენები ავიაციის როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამსახურში.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მეცხოველეობის დარბაზებში წარმოდგენილი ტექნიკა. მნახველი ეცნობა ახალი მარკის შესანიშნავ მანქანებს, რომელთა დანიშნულებაა მეცხოველეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. აქ თვალნათლივ ხედავთ, რა საუცხოო მანქანები მისცა სპბჭოთა ინდუსტრიამ კოლმეურნეობებს, სპბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებს.

ღამით, როცა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორია გაკაშკაშებულია ელექტროშუქით, პავილიონის ბოლომდე ბივდივართ და ჩვენი საეშობლოს დიდ რეკასთან ვჩერდებით. იგი ნათლად გვიჩვენებს თუ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რა ქსელით არის დასერილი ჩვენი ქვეყანა. ციფრები მეტყველებენ: 1932 წელს სპბჭოთა კავშირში იყო 2.446 მტს-ი, 1954 წელს კი 9.000-ზე მეტია. ამჟამად კოლმეურნეობებისა და სპბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე მუშაობს 1.260 ათასი ტრაქტორი, 326 ათასი კომბაინი და 370 ათასი სატვირთო ნანქანა.

ოცდათხუთმეტი წლის წინათ ვ. ი. ლენინი ოცნებობდა:

„ჩვენ რომ შეგვეძლოს ხვალ 100 ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორის მიცემა, მათი მომარაგება ბენზინით, მათი მომარაგება მემანქანეებით (თქვენ მშვენივრად იცით, რომ ჯერჯერობით ეს ფანტაზიაა), მაშინ საშუალო გლეხი იტყოდა: „მე კომუნიის მომხრე ვარ“ (ე. ი. კომუნიზმის მომხრე ვარო)“.

დიდი ლენინის ოცნება მოკლე დროში განხორციელდა. სპბჭოთა ხალხმა გიგანტური ნაბიჯი გადადგა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზაზე.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სოფლის მეურნეობა, რომელიც შეიქმნა და განვითარდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ემყარება მძლავრ ინდუსტრიულ-ტექნიკურ ბაზას და წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე მსხვილ, მოწინავე, მექანიზებულ სოფლის მეურნეობას.

პავილიონის შთაბეჭდილებათა წიგნი სავსეა მნახველთა ბგრძნობიარე ჩანაწერებით. ექსკურსანტები აღფრთოვანებული არიან ყოველივე იქით, რაც პავილიონში ნახეს, გაიცნეს და შეისწავლეს, ისინი მხურვალე მადლობას უძღვნიან კომუნისტურ პარტიას და სპბჭოთა მთავრობას უმძლავრესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შექმნისათვის.

გასაკვირველი არ არის, რომ თვითეული მონაწილე თუ ექსკურსანტი, რომლისთვისაც გამოფენა თავისებური აკადემიაა, ისწრაფვის მეტი ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებული დაბრუნდეს შინ, იმუშაოს ახლებურად, იმუშაოს მთელი ძალით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უმაგალითო მიღწევათა გამოყენებით ამრავლოს საკოლმეურნეო დოვლათი, პირნათლად შეასრულოს სოფლის მეურნეობის წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანები.

ა. ჩავლეიშვილი, თ. კუნჭულია, შ. ჭოჭუა, ს. ქოჩლაძე.

მოსკოვი, ოქტომბერი.

წერილები რედაქციას

შევქმნათ ჯიშიანი თესლის საჭირო მარაგი

პასუხსაგები ამოცანები აქვთ დაკისრებული სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქბოსტანჯიშთესლის რესპუბლიკურ და სარაიონთაშორისო კანტორებს ჯიშიანი მეთესლეობის განვითარების საქმეში. მათი გადაუდებელი ვალია ორწლიანი კულტურების მაღალხარისხოვანი, კონდიციური თესლის გამოყვანა და ამით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ინდივიდუალურ მთესველთა უზრუნველყოფა.

საქართველოში ამჟამად მეთესლეობის 124 კოლმეურნეობაა, რომლებთანაც საკონტრაქტაციო ხელშეკრულების საფუძველზე გაწარმოებთ ჯიშიანი თესლის გამოყვანა-დამზადებას და რეალიზაციას საქბოსტანჯიშთესლის საწყობებისა და სავაჭრო ქსელის მეშვეობით.

იმის გამო, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ბევრგან ჯერ კიდევ უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საკვებ ძირხვენათა თესლის გამოყვანას, აძულებული ვართ წლების მანძილზე საკვები ჭარხლის თესლი შემოვიზიდოთ მოკავშირე რესპუბლიკებიდან, მაშინ როცა საქართველოში საკვები ძირხვენების უხვი მოსავლის მიღების ყველა პირობა გვაქვს.

არ შეიძლება დავივიწყოთ გასული წლის მკაცრი გაკვეთილი, როცა საკვები ჭარხლის სადედეების დროულად ჩაუწყობლობის გამო საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის კოლმეურნეობა „განთიადმა“, ხაშმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, თელავისა და ახალციხის რაიონების მთელმა რიგმა მეთესლეობის კოლმეურნეობებმა ვერ უზრუნველყვეს სადედეების წესიერად შენახვა, რის გამო მათი დიდი რაოდენობა დაზიანდა ყინვების შედეგად. უფრო მეტიც. თელავის რაიონის სოფელ ჯუღაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნ. ქორიშვილი) ჩაწყობილი სადედეების ნაწილი პირუტყვს შეაჭამეს. ზოგან ამ მხრივ წელსაც არასახარბიელო მდგომარეობაა. ახალციხის რაიონის სოფლების ურავლის, აწყურის, მუსხის და მინაძის მეთესლეობის კოლმეურნეობებში საძირეების მოუვლელობის და დროულად ჩაუწყობლობის შედეგად ჩაშლილია თესლის დამზადების გეგმა.

საქბოსტანჯიშთესლის სისტემამ მეთესლეობის კოლმეურნეობებში გეგმით 1954 წლის მოსავლიდან უნდა ჩაიწყოს ორწლიანი კულტურების სათესლეების (სადედეების) 17.825 ათასი ძირი და ხახვის ბოლქვი 762 ტონის რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს 470 ჰექტარი სათესლე ფართობის დარგვას.

ეს სერიოზული დავალებაა. ამიტომ საქართველოს მეთესლეობის კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა, აგრონომებმა, მტს-ების ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ სათესლეების აღებასა და შენახვას, არ დაუშვან სათესლეების დალუპვა მოსალოდნელი ყინვებისაგან.

გ. ჩეჩელაშვილი,
სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქბოსტანჯიშთესლის რესპუბლიკური კანტორის მმართველი.

გავაუმჯობესოთ კინომომსახურების საქმე

ქ. ქუთაისის მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესების მიზნით ლენინის სახელობის პროსპექტზე შენდება კინოთეატრი. აგრეთვე გათვალისწინებულია უახლოეს დროში გაიხსნას ქრონიკალური ფილმების კინოთეატრი. მაგრამ, მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, კინომომსახურების საქმეში მთელი რიგი ნაკლოვანებანი გვაქვს.

ქალაქის ერთ-ერთი წამყვანი კინოთეატრი „კომუნა“ კეთილმოწყობილი არ არის. ფოიეში საკმაო რაოდენობით არ არის სავარძლები, მაყურებელთა დარბაზში სკამები დაზიანებულია და საჭიროა მათი გამოცვლა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციის სამმართველო თეატრების კეთილმოწყობაზე მხოლოდ პროექტებით და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცებით დაკმაყოფილდა. კინოთეატრების „კომუნის“ და „დამკვრელის“ კაბინეტური შეკეთების ხარჯთაღრიცხვები, რომლებიც დამტკიცებულია ივნისში, დღესაც უმოქმედოდ აწყვია კინოფიკაციის სამმართველოში.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ „გლავკინოპროკატის“ ქუთაისის სარაიონთაშორისო კანტორა არადამაკმაყოფილებლად ემსახურება ქუთაისს, ჭიათურის, ტყიბულისა და ზესტაფონის რაიონებს.

კინომომსახურების საქმეს არც საქარხნო კლუბებში ექცევა სათანადო ყურადღება. მანქანათმშენებელი ქარხნის კლუბის მოძრავი კინოაპარატურა აღრიცხვაზე არ არის აყვანილი „კინოპროკატის“ ქუთაისის განყოფილებაში. ამიტომ კლუბს კინოსურათები არ ეძლევა. პროფკავშირულ კლუბებში ეზვდებით ბილეთების გაყიდვისას ფასების დამახინჯებას, რაც მაყურებელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

აღნიშნული ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ ქუთაისის მშრომელთა კინომომსახურების საქმეში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ე. ადეიშვილი,
ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„როცა სამეურნეო წარმაგებებით ტკბებიან“

„კომუნისტის“ 29 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი „როცა სამეურნეო წარმატებებით ტკბებიან“. წერილში ნათქვამი იყო, რომ ქუთაისის მიქოთანის სახელობის საკონსერვო ქარხნის პარტიული ორგანიზაცია მოუქნელად მუშაობს, რომ ქარხანაში ჯეროვან დონეზე არა დგას პარტიულ-პოლიტიკური და საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობა, იშვიათად ეწყობა ლექციებიმოხსენებები.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს კომუნისტური პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. რუხაძე გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საკონსერვო ქარხანაში პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის საქალაქო კომიტეტის ბიუროომ დასახა ღონისძიებანი.

„როცა პარტიული კონტროლის უფლებას სუსტად ახორციელებენ“

„კომუნისტის“ 20 მაისის ნომერში გამოქვეყნებული იყო წერილი „როცა პარტიული კონტროლის უფლებას სუსტად ახორციელებენ“. წერილში მოყვანილი ფაქტები შეეხებოდა თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის ცუდ მუშაობას.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიონული კომიტეტის მდივანი ამხ. ს. ჩხარტიშვილი გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა შეისწავლა აღნიშნული საკითხი და განიხილა რაიკომის ბიუროზე. ბიუროს გადწყვეტილებით ფაბრიკის დირექტორი რ. ნიკოლაიშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან, მთავარი ინჟინერი გ. კიკნაძე მოიხსნა სამუშაოდან და გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით, ფაბრიკის პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. შ. ჯოხაძეს გამოეცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

ბიუროომ დასახა ღონისძიებანი ფაბრიკაში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

როთველი წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში. **სურათზე:** წინა პლანზე მერგოლური ანეტა სეხნიაშვილი (წელს ჰექტარზე მიიღო 110 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად 58 ცენტნერისა) და ბრიგადირი გ. კოტაშვილი ამოწმებენ ყურძნის ხარისხს.

ფოტო რ. მორჩილაძისა.

250-300 ცენტნერი ყურძენი ჰექტარზე

გურჯაანი. (საკ. კორ.). რქაწითელით, საფერავითა და მწვანით დატვირთული ავტომანქანების ქარავანი კვლავ განუწყვეტელ ნაკადად მიიმართება ღვინის ქარხნებისა და მარნებისაკენ. ყურძნის უხვი მოსავალი წინათაც მიუღიათ გურჯაანელებს, მაგრამ ისეთი, როგორც წელს, არასოდეს ყოფილა.

გურჯაანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში სამი-ოთხი წლის წინათ ჰექტარზე საშუალოდ 30-40 ცენტნერი ყურძენი საამაყოდ მიაჩნდათ, ახლა ეს ცენტნერსაც არ სჯერდებიან. თვითეულ ჰექტარზე ყურძნის მოსავალმა 140 ცენტნერს გადაამტა. გეგმა 55 ცენტნერს ითვალისწინებს.

კოლმეურნეობის ყველა ბრიგადა მოწინავეა, მაგრამ ვასილ ჭიკაძის ბრიგადას მაინც ვერავინ შეედრება. მას საშუალოდ ჰექტარზე 200 ცენტნერზე ნაკლები ყურძენი არ დაუკრეფია. რგოლებს შორის პირველობა ეკუთვნის გ. ოდიშელიძის რგოლს, რომელმაც ჰექტარზე საშუალოდ 300 ცენტნერი ყურძენი მიიღო და გეგმას 400 პროცენტით გადააჭარბა. რგოლმა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ივანე მყვირალაშვილი ხელმძღვანელობს, საშუალოდ ჰექტარზე 240 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა.

ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“ (თავმჯდომარე მ. გულოვი) საშუალოდ ჰექტარზე 115 ცენტნერ ყურძენს იღებს. ა. მიტიჩაშვილის ბრიგადა პირველობას არავის უთმობს. დღემდე დაკრეფილი ვენახებიდან ჰექტარზე საშუალოდ 150 ცენტნერზე ნაკლები არ მიუღია. ზ. ჯავახიშვილის ბრიგადამ გეგმის გადამეტებით ჰექტარზე 90 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა.

საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით ველისციხელებმა 6.000 ცენტნერი ყურძენი უნდა ჩააბარონ სახელმწიფოს. ფაქტიურად 8.000 ცენტნერს აბარებენ.

ვაზისუბნის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში 180 ჰექტარი ვენახიდან ნახევარი დაკრიფეს. ყველა ბრიგადა და რგოლი ყურძნის მოსავლიანობის გეგმას დიდი გადამეტებით ასრულებს. მიხეილ იაგანოვის ბრიგადის ნაკვეთებში საშუალოდ ჰექტარზე 150 ცენტნერზე ნაკლები ყურძენი არ იკრიფება.

მაგრამ არის ნაკლიც. იმის გამო, რომ გურჯაანის ღვინის ქარხანათა სამმართველოსა და მუკუზნის ღვინის ქარხნები ყურძნის მიღება-გადამუშავებას ვერ ასწრებენ, რთველი ჭიანურდება. მართალია, ქარხანათა სამმართველომ გეგმით გათვალისწინებული 120 ათასი ცენტნერის ნაცვლად უკვე 130 ათასი ცენტნერი ყურძენი გადაამუშავა, მაგრამ ეს საქმეს არ შველის. ჯერ კიდევ უამრავი ყურძენია მისაღები და გადასამუშავებელი.

შაშიანის კოლმეურნეობამ რთველი 5 ოქტომბერს დაიწყო. კრეფაზე მომუშავე კოლმეურნეები ნახევარჯერ ცდებიან, იმიტომ რომ მუკუზნისა და გურჯაანის ღვინის ქარხნები ყურძნის მიღებას აგვიანებენ. ერთ დღეს მძღოლმა მ. დიღმელიშვილმა მუკუზნის ქარხანაში მიიტანა ყურძენი, რომელიც არ მიიღეს, „ჭურჭელი არ გვაქვსო“. შემდეგ გურჯაანის ქარხანაში წავიდა. აქ 6 საათს გააჩერეს. ვაზისუბნის კოლმეურნეობიდან მუკუზნის ღვინის ქარხანაში (დირექტორი დ. დვალი, მთავარი მეღვინე მ. ქუმსიაშვილი) ერთ დღეს 8 ურემი ყურძენი გაიგზავნა. მისი მიღება მეორე დღემდე გააჭიანურეს.

უფრო ცუდად მუშაობს ველისციხის ღვინის ქარხანა (დირექტორი ნ. კუპატაძე, მთავარი მეღვინე პ. გიორგობიანი). აქ 10-12 საათს აგვიანებენ მოტანილი ყურძნის მიღებას. ამიტომ არის, რომ ველისციხის კოლმეურნეობები, რომლებიც ქარხანასთან ერთ კილომეტრზე არიან, ყურძენს 10-15 კილომეტრით დაშორებულ ქარხნებში ეზიდებიან. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც შრომის ღვინის ქარხანაშია.

ყურძნის დიდმა მოსავალმა თვითდამშვიდება არ უნდა გამოიწვიოს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყურძნის მიღება-გადამუშავებისას დანაკარგები არ დავუშვათ.

უცხოეთის გამოხმაურება

საბჭოთა მთავრობის 23 ოქტომბრის [illegible]

საფრანგეთის საზოგადოებრიობა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგია

პარიზი, 25 ოქტომბერი. (საკ-დესი). პარიზის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს საბჭოთა კავშირის ახალ ნოტას დასავლეთის სახელმწიფოებისადმი.

საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთები შიშობენ, რომ საბჭოთა წინადადებებმა ზეგავლენა არ მოახდინოს საზოგადოებრიობაზე, დაეყრდნობენ იმ თემაზე, რომ საბჭოთა ნოტაში „ახალი არაფერიაო“.

ამ საფუძველზე ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთი, და კერძოდ გაზეთი „ფიგარო“ დაასკვნის, რომ „რაკი ახალი ელემენტები არ არის, სსრ კავშირთან მოლაპარაკების დაწყებას საჭიროებლობა არ მოჰყვებაო“.

სხვა გაზეთები სხვაგვარ პოზიციას ადგანან. „მოლაპარაკება აღმოსავლეთთან, — წერს გაზეთი „კომბა“, — უნდა განახლდეს, რადგან მის შედეგზე იქნება დამოკიდებული ორი პირდაპირ საწინააღმდეგო ბლოკის თანაარსებობა, ე. ი. მშვიდობა თუ აუცილებლობა დამორჩილებისა შეიარაღებული მშვიდობისადმი, რომელიც დიდი იმედების საფუძველს არ იძლევა. ...ამ მოლაპარაკების განახლებაში ინიციატივა უნდა გამოიჩინოს სწორედ საფრანგეთმა, რომელიც ყველა სხვა ქვეყანაზე უფრო დაინტერესებული მშვიდობის შენარჩუნებით, რაც მშვიდობიანი არსებობის პირობაა“.

გაზეთი „ლიბერასიონი“ გმობს ბონელი რევანშისტების შეიარაღების პოლიტიკას, რომელსაც მენდეს-ფრანსის მთავრობა ახორციელებს, და უპირისპირებს მას საბჭოთა წინადადებებს გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისა და ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ, წინადადებებს, რომლებსაც შეიცავს 23 ოქტომბრის საბჭოთა ნოტა. „მაგრამ ამ წინადადებებთან ერთად, — წერს გაზეთი, — სსრ კავშირი სამ გაფრთხილებას იძლევა: 1. თუ ლონდონის შეთანხმებანი ძალაში შევლენ, დიდი ხნით გაჭრება გერმანიის ერთიანობის აღდგენის იმედი. 2. ეს შეთანხმებანი აშკარად ეწინააღმდეგებიან საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას. 3. შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს სერიოზულად ვლაპარაკობდეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განიარაღებაზე და ვეიარაღებდეთ გერმანიას...“

„პრობლემა, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, — ნათელია: ან ვაწარმოოთ მოლაპარაკება საკითხის ფართო მოწესრიგების მიღწევის იმედით, რომელიც უსაგნოს ხდის გერმანიის შეიარაღებას, ან მოვიწონოთ გერმანიის შეიარაღება და ჩანასახშივე ჩავკლათ მოლაპარაკების შესაძლებლობა“.

გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა დასავლეთის სამი სახელმწიფოსადმი საბჭოთა ნოტის სრული ტექსტი. გაზეთი მოუწოდებს ფრანგ ხალხს ყოველი ღონე იხმაროს, რათა ეროვნული კრების დეპუტატებმა უარყონ შეთანხმება ახალი იგრესიული ვერმახტის შექმნის შესახებ, მხარი დაუჭირონ საბჭოთა მთავრობის წინადადებას იმის შესახებ, რომ გერმანიის პრობლემა გადაიჭრას დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების გზით და ევროპაში შეიქმნას კოლექტიური უშიშროების სისტემა.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანომ „პოპულერ დე პარიმ“ გამოაქვეყნა საბჭოთა მთავრობის ნოტის მოკლე შინაარსი.

გაზეთები ამტკიცებენ, თითქოს შეიძლებოდეს ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებისა და დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაციის შეთავსება.

ამერიკის პრესა საბჭოთა მთავრობის ნოტის შესახებ

ნიუ-იორკი, 25 ოქტომბერი. (საკ-დესი). საბჭოთა მთავრობის 23 ოქტომბრის ნოტამ, რომელიც წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნას ნოემბერში საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი გერმანიის პრობლემის გადასაწყვეტად, ამერიკის პრესის მრავალი კომენტარი გამოიწვია. ამერიკის პროპაგანდას, გამოხატავს რა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების პოზიციას, რომლებიც დაადგნენ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენისა და კარდახშულ სამხედრო დაჯგუფებებში დასავლეთ გერმანიის ჩაბმის გზას, იმ წინადადებათა რეალიზაცია, რომლებსაც საბჭოთა ნოტა შეიცავს, მიაჩნია საფრთხედ ამერიკის აგრესიული გეგმებისათვის და ამიტომ მოითხოვს საბჭოთა მთავრობის ნოტის უარყოფას.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს კომენტარი არ გაუკეთებია საბჭოთა ნოტისათვის, „მაგრამ ფიქრობენ, რომ ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის ექსპერტები დაიცავენ ჩვეულებრივ პრაქტიკას, რომელიც მიღებულია გერმანიის საკითხზე რუსეთთან ნოტების ხანგრძლივი გაცვლისას, კონსულტაციას გაუწევენ ერთმანეთს საერთო პასუხის შესახებ, ხოლო შემდეგ დასჯერდებიან ნოტებს და უარყოფენ რუსების წინადადებას იმის შესახებ, რომ ნოემბერში მოწვეულ იქნას ახალი თათბირი რუსების მიერ ჩამოყალიბებულ პირობებში“.

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ პარიზელი კორესპონდენტი კუკი, აღნიშნავს რა, რომ პასუხი საბჭოთა ნოტაზე „რა თქმა უნდა, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს“, მოითხოვს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები დასავლეთ გერმანიის შეიარაღების თავიანთი გეგმების განხორციელებისას მიდიოდნენ „წინ, არ შეჩერდნენ და არ გადაუხვიონ გზას არც საბჭოთა ნოტის გამო, არც სხვა ყურადღების შემნელებელ, მოვლენათა გამო“. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ლონდონელი კორესპონდენტი წერს, რომ „დასავლეთი უარყოფს უახლეს საბჭოთა წინადადებას გერმანიის საკითხზე ოთხი სახელმწიფოს თათბირის მოწვევის შესახებ“.

მაგრამ, იცის რა, რომ უარყოფა საბჭოთა ახალი ინიციატივისა, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის ფართო უკმაყოფილებას გამოიწვევს, ამერიკის პრესა ამტკიცებს, საერთოდ დასავლეთის სახელმწიფოები საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებაზე უარს არ ამბობენო. მაგრამ ასეთი მოლაპარაკება, აცხადებენ ამერიკის პრესის ცალკეული ორგანოები, შესაძლებელია, თითქოს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის პარლამენტები დაამტკიცებენ ლონდონისა და პარიზის გადწყვეტილებებს.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი ჰაიტუერი წერს: „როგორც დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა 24 ოქტომბერს განაცხადეს, დასავლეთ გერმანიის შეიარაღების სამოკავშირეო პროგრამა ძალის ახალი ბაზაა რუსეთთან მოლაპარაკებისათვის ევროპის [illegible] ნიათ, რომ [illegible] მინისტრების ახალი თათბირი გერმანიის გაერთიანების საკითხზე, აგრეთვე ავსტრიის საკითხსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოწვეულ იქნება ხელშეკრულებათა რატიფიკაციის შემდეგ. როგორც იუწყებიან, დასავლეთის ხელმძღვანელები, აგრეთვე სახელმწიფო მდივანი დალესი, შეთანხმდნენ, რომ მათ არ სურთ არავითარი თათბირის მოწვევა რატიფიკაციის უზრუნველყოფამდე“.

ასეთსავე აზრს გამოთქვამენ გაზეთები „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“, „დეილი მირორი“.

ამასთან ერთად ამერიკის პრესა შიშს გამოთქვამს იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის 23 ოქტომბრის ნოტას შეუძლია გააძნელოს დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების გეგმების განხორციელება. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ხაზგასმით აღნიშნავს, საბჭოთა წინადადებას გერმანიაში თავისუფალი არჩევნების მოწყობის შესახებ „შეუძლია სერიოზული გავლენა მოახდინოს“ გერმანიის ხელახლა შეიარაღების გეგმებზე.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მიმომხილველს უილიამ რაიანს მიაჩნია, რომ საბჭოთა ნოტის „მიზანია განამტკიცოს ოპოზიცია პარიზის შეთანხმებების მიმართ საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიაში“.

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი. (საკ-დესი). „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ სარედაქციო სტატიაში, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის წინადადებას ოთხი სახელმწიფოს თათბირის მოწვევის შესახებ, წერს:

საფრანგეთის პარლამენტის წევრები მტკიცედ მოითხოვენ ახალ მოლაპარაკებას რუსეთთან, სანამ გერმანიის შეიარაღება ფაქტი გახდებოდეს, ხოლო გერმანელი სოციალ-დემოკრატები ბრალად სდებენ კანცლერ ადენაუერს იმაში, რომ იგი დასავლეთთან კავშირის მიღწევას გერმანიის გაერთიანებაზე მაღლა აყენებს. შესაძლებელია, რომ რუსეთის ნოტა მომართულია უწინარეს ყოვლისა ამ ელემენტებისადმი.

ნიუ-იორკი, 25 ოქტომბერი. (საკ-დესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ ლონდონელი კორესპონდენტი ნიუმენი წერს, რომ, ერთი მხრივ ლონდონსა და პარიზსა და, მეორე მხრივ, ვაშინგტონს შორის ერთგვარი უთანხმოება არსებობს საბჭოთა კავშირის უკანასკნელი ნოტის გამო გერმანიის საკითხზე ოთხი სახელმწიფოს თათბირის მოწვევის შესახებ „მაშინ როცა ვაშინგტონს, მიღებული ცნობებით, როგორც ჩანს, განზრახული აქვს საბჭოთა ნოტას ზერელედ მოეპყროს და უარყოს იგი სრულიად უსიტყვოდ, — წერს ნიუმენი, — ლონდონი იმ აზრისაა, რომ ეს ნოტა მიჩნეულ იქნას უფრო სერიოზულ წინადადებად, ვიდრე საბჭოთა კავშირის რომელიმე წინა წინადადება“.

ინგლისური გაზეთები საბჭოთა მთავრობის ნოტის შესახებ

ლონდონი, 25 ოქტომბერი. (საკ-დესი). ყველა ინგლისური ბურჟუაზიული გაზეთი აუარადღებას აქცევს საბჭოთა მთავრობის 23 ოქტომბრის ნოტას, „მაგრამ ზოგი მათგანი კმაყოფილდება ნოტის მოკლე შინაარსის გადმოცემით და არაფერს ამბობს მის უმნიშვნელოვანეს დებულებებზე.

ბურჟუაზიული პრესა აჩქარებს დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების შესახებ პარიზზე ხელმოწერილ შეთანხმებათა რატიფიკაციას, ამასთან ლეგიბორისტული გაზეთი „დეილი ჰერალდი“ მოუწოდებს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციისათვის მზადებასთან ერთად აწარმოონ მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან. სხვა გაზეთები მხარს უჭერენ თეზისს — ჯერ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია, ხოლო შემდეგ მოლაპარაკების წარმოება.

ასეთი პოზიციის გამართლებას ცდილობს გაზეთი „ტაიმსი“ თავის სარედაქციო სტატიაში. გაზეთი აღიარებს რომ საბჭოთა ნოტა „კვლავ მიუთითებს ადამიანებს, რომლებიც სერიოზულად და გულწრფელად ესწრაფვიან მშვიდობას, იმ საფრთხეზე, რასაც გერმანიის პრობლემა შეიცავს“, „ტაიმსი“ შემდეგ ეთანხმება იმას, რომ, „სანამ გერმანია გათიშულია, უეჭველია, არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ევროპაში საბოლოოდ დამყარდა წესრიგი“. გაზეთს საფუძვლიანად მიაჩნია „რუსების შიში, რომ ხელახლა შეიარაღებული გერმანია ოდესმე შეეცდება გაერთიანდეს თავის მოსახლეობასთან აღმოსავლეთში“. ამრიგად, გაზეთს, ცხადია, შეგნებული აქვს, რომ დასავლეთგერმანელი მილიტარისტები ვარაუდობენ „გაერთიანებას“ არა მშვიდობიანი გზით, არამედ ძალის გამოყენებით.

„ტაიმსი“ აღიარებს პარიზის შეთანხმებათა ყველა საშიშ შედეგს, მაგრამ გამოჰყავს სრულიად გაუმართლებელი დასკვნა, „რუსების მიერ წამოყენებული გადწყვეტა გაცილებით უფრო სერიოზულ საფრთხეს შეიცავსო“.

„რუსული გადწყვეტა, — წერს სარედაქციო სტატიის ავტორი, — გარდა გაურკვევლობისა, არაფერს არ იძლევა“.

ყოველი უწინაზრახვო ადამიანისათვის, რომელიც საბჭოთა წინადადებებს გაეცნო, ცხადი უნდა იყოს, რომ „ტაიმსის“ სარედაქციო სტატია ცდილობს უხეშად დაამახინჯოს საბჭოთა კავშირის პოზიცია გერმანიის საკითხში. მართლაც, „გაურკვევლობის“ შენარჩუნებისადმი რა მისწრაფებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როცა საბჭოთა კავშირი წინადადებას იძლევა აღდგენილ იქნას გერმანიის ერთიანობა მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე, მოეწყოს სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნები, გიყვანილ იქნან საოკუპაციო ჯარები აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიიდან, შეიქმნას ევროპის კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემა. სად არის აქ მისწრაფება „გაურკვევლობისადმი“? „ტაიმსი“ აშკარად ვერ აბამს თავსა და ბოლოს.

გაზეთი „დეილი ეარკერი“ წერს, რომ „არავითარი გამართლება არ არსებობს იმისათვის, რომ განხორციელდეს გიჟური გეგმა“ დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაციისა „ახლა, როცა საბჭოთა მთავრობამ წინადადება უშმაყეფილ მოწვეულ იქნას თათბირი გერმანიის მომავალი ბედის საკითხის განსახილველად“.

„გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების მიღწევა შესაძლებელია, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, — და სრულიად ევროპის უშიშროების სისტემა, რომელიც მშვიდობას უზრუნველყოფს, შეიძლება შეიქმნას. ასეთია საბჭოთა კავშირის უკანასკნელი ნოტის არსი, ნოტისა, რომლის მნიშვნელობა თვითეულმა ინგლისელმა მოქალაქემ უნდა გაიგოს“.

ლონდონი, 25 ოქტომბერი. (საკ-დესი). ეხება რა საბჭოთა ნოტაზე გამოხმაურებას საფრანგეთში, „ტაიმსის“ პარიზელი კორესპონდენტი ყურადღებას აქცევს იმას, რომ საფრანგეთში „საზოგადოებრივი აზრის მეტი ნაწილი ემხრობა იმას, რომ რუსეთს შეეთანხმდნენ მანამდე, სანამ საბოლოოდ დათანხმდებოდნენ გერმანიის ხელახლა შეიარაღებაზე“.

საგჭოთა მშენებლობა

ერთი სოფლის სახე

შუახევი... სწორედ რომ ზედგამოჭრილია ეს სახელწოდება ამ ადგილმდებარეობისათვის. და მთელი ბითიანი აჭარა ბათუმის რაიონის მოსაზღვრე ქედიდან დაწყებული და ხულოს რაიონით გათავებული, ორ მთას შუა მოქცეულ თვალწარმტაც ხეკს წარმოადგენს. ხელმარჯვნივ ცადაწვდილი, ამწვანებული, ნაირფერი მცენარეებით აჭრელებული, ზზისსხივდაფრქვეული მთების წყება იპყრობს მგზავრის ყურადღებას. მარცხნივ ასეთივე მაღალი მთაგრეხილია. აი აქ, ამ მარცხენა მთის ქალთებზე გადის ელვასავით დაგრეხილი სამანქანო გზა. ამ მთებს შუა, სადღაც უფსკრულში მიიკლაკნება მდინარე აჭარისწყალი. ქედიდან ხულოსაკენ მინავალი გზა სულ აღმა ადის, აჭარისწყალი სულ უფრო ქვევით ექცევა, და მძღოლის ვირტუოზულ ოსტატობას მინდობილი მგზავრის თვალთაგან უჩინარდება.

ერთი შეხედვით კაცს ეგონება, აქაურობა სამყაროს მოწყვეტილიაო. მაგრამ აი ახვალთ შუახევის რაიონის ერთ რომელიმე სოფელში, დავუშვათ, ჭვანაში, და იგრძნობთ, რომ ჩვენი დიადი სამშობლოს ცხოველმყოფელი ნაკისცემა აქაც ისეა შემოჭრილი და დამკვიდრებული, როგორც მზის სხივები, რომლებიც ასე უხვად დაფრქვევია აჭარას.

ჭვანას აქ ვაკე ადგილად თვლიან. უცხო კაცს ამაზე ჩაეცინება — „კაი ვაკეა, თქვენი ჭირიმეთ, სადაც არის ღრუბელს ხელს წვეუპოტინებ!“ მაგრამ ყველაფერი შეფარდებითია — მთიანი აჭარის ბევრ სხვა სოფელთან შედარებით ჭვანას მეტი გავაკებული ტერიტორია უკავია.

ოთხას სამოცდაათი კომლისაგან შედგება ჭვანის სასოფლო საბჭო, რომლის აღმასკომის თავმჯდომარედ სოფელმა სიმონ ქარცივაძე აირჩია. მასში შედის ჭოფლები ცეკვა, ცხემლისი, ვარჯენაული, თვით ჭვანა, ტაკიძეები, ცივაძეები, ზედაყანა, ახალდაბა, წყაროთა, ჭალა. სოფლებს — ჭვანას, ცხემლისს, ვარჯენაულსა და ცეკვას სტალინის სახელობის კოლმეურნეობა აერთიანებს, ცივაძეებს, ტაკიძეებს, ზედაყანასა და ახალდაბას — კალინინის სახელობისა, ხოლო ჭალასა და წყაროთას — ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა.

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს — დურსუნ დუმბაძეს, მევლუდ ქარცივაძესა და ნური მახარაძეს მთიანი ზონისათვის დამახასიათებელ რთულ ვითარებაში უხდებათ მუშაობა, მაგრამ საქმეს ცუდად როდი ართმევენ თავს. აქ მოჰყავთ თამბაქო, სიმინდი, კარტოფილი. ძლიერ მოიკიდა ფეხი ცოლიკოურის ჯიშის ვაზმაც. სოფელს კარგი სათიბები აქვს და მეცხოველეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგია კოლმეურნეობაში. ჩაიც დაუთესიათ და კოლმეურნეები სიხარულით ბოლიან საცდელი ნაკვეთების პირველ შედეგებს, იციან, რომ თუ ეს ვირფასი სუბტროპიკული კულტურაც დამკვიდრდა აქ, მათი მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე ერთიორად ამაღლდება.

შეძლებულმა, ხალისიანმა საკოლმეურნეო ცხოვრებამ სინათლე და კულტურა შეიტანა მთის სოფელში. აქ არის საშუალო სკოლა, რვაწლიანი სკოლა, შვიდწლიანი რუსული სკოლა, დაწყებითი სკოლა.

საშუალო სკოლის დირექტორი ალექსანდრე მიქელაძე, სკოლების გამგეები ვალენტინა ცხაკაია, სოკრატ რატიანი, ნინო გოლეთიანი, პოლიკარპე მიქაძე, ავთანდილ დავითაძე, ზინა ფიფია, გიორგი ჯაყელი, მასწავლებლები იბრძვიან ნორჩი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური

ბრიუსელი, 26 ოქტომბერი. (საკდესი). ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით, რომელიც 17 ოქტომბერს დაიწყო ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების 25 წლისთავის აღსანიშნავი დღესასწაულით, ბრიუსელში გაიმართა საზოგადოების კულტურული სექციხსა და ბელგიელი მიჩურინელების სექციის სხდომები.

ბელგიელმა მიჩურინელებმა დიდი ინტერესით მოისმინეს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების ბელგიაში ჩამოსული დელეგაციის ხელმძღვანელის, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ს. ი. ისაევის ლექციი თემაზე „მიჩურინი და მიჩურინელთა მუშაობა სსრ კავშირში“. ბელგიელმა მიჩურინელებმა ილაპარაკეს მოწინავე საბჭოთა აგროტექნიკის მიღწევების გამოყენების პირველ წარმატებებზე. ბელგიელ მიჩურინელთა საზოგადოება აერთიანებს სოფლის მეურნეობის 400-ზე მეტ სპეციალისტს, აგრონომსა და ბელეს ბელგიის სხვადასხვა პროვინციაში, რომლებიც ცდებს ეწევიან მიჩურინის მეთოდით. კარგი შედეგები გამოიღო საბჭოთა საგაზაფხულო ხორბლისა და გაახალთესლებული კარტოფილის ჯიშების მოყვანის ცდებმა.

კულტურული სექციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორმა ი. ტ. ოგოროდნიკოვმა, ვახტანგოვის სახელობის თეატრის მსახიობმა ლ. ვ. ცელიკოვსკაიამ, კინორეჟისორმა ა. მ. როომმა. საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლებმა უპასუხეს ბელგიელი მეგობრების მრავალ კითხვაზე სსრ კავშირში სახალხო განათლების დაყენების, საბჭოთა თეატრის, კინემატოგრაფიის, ლიტერატურის შესახებ.

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ირანის კონფერენცია მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის საკითხებზე

მოსკოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ირანის მერვე კონფერენცია სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა დაცვის საკითხებზე. კონფერენცია მოწვეულ იქნა იმ კონვენციის შესაბამისად, რომელიც საბჭოთა კავშირის მთავრობამ და ირანის მთავრობამ 1935 წელს დადეს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის შესახებ.

კონფერენცია გაგრძელდა 8-დან 22 ოქტომბრამდე. კონფერენციამ მოისმინა და განიხილა საბჭოთა და ირანელი სპეციალისტების მოხსენებანი. მიღებულია გადაწყვეტილებანი კალიის, ბამბის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ურთიერთვალდებულებათა შესახებ, მთელ რიგ სხვა ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც 1955 წელს უნდა განხორციელდეს როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ირანში.

კონფერენციამ მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება, რომ სასურველია ერთობლივად შეისწავლონ უდაბნოს კალია შესტოცერკა იმ მიზნით, რომ არ დაუშვან მისი შემოსვლა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და რაც შეიძლება მალე მოსპონ კალიის გუნდები, რომლებიც ირანის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნებიდან შემოდიან.

საბჭოთა კავშირისა და ირანის მხარეთა წარმომადგენლებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ხდებოდეს ლიტერატურის გაცვლა მცენარეთა დაცვის საკითხებზე.

გადაწყდა მცენარეთა დაცვის საბჭოთა კავშირ-ირანის მორიგი მეცხრე კონფერენცია მოიწვიონ 1955 წელს.

კონფერენციამ ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა. (საკდესი).

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს საბჭოთა გამოფენა

პეკინი, 26 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ გუშინ საღამოს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა ამხანაგებმა მაო ძე-დუნმა, ლიუ შაო-ციმ, ჯოუ ენ-ლაიმ, ჯუ დემ, ჩენ იუნმა, ლინ ბო-ძიუიმ, დუნ ბი-უმ, პინ დე-ხუაიმ და დენ სიაო-პინმა დაათვალიერეს საბჭოთა კავშირის ეკონომიური და კულტურული მიღწევების გამოფენა.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს ახლდნენ საბჭოთა ელჩი პ. თ. იუდინი, სავაჭრო წარმომადგენელი ვ. პ. მიგუნოვი და გამოფენის დირექტორი დ. გ. ბორისენკო.

თავმჯდომარე მაო ძე-დუნი და მისი თანმხლები პირნი 4 საათს იყვნენ გამოფენაზე. მათ დაათვალიერეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სასურსათო საქონლის, კულტურისა და უმაღლესი განათლების პავილიონები, აგრეთვე სამხატვრო გალერეა.

სინხუას სააგენტო ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელთა მოლაპარაკებების შესახებ

პეკინი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

პეკინს ჩამოსვლის მომენტიდან ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, რომელიც ჩინეთში ჩამოვიდა ჩინეთის მთავრობის მოწვევით, 19 ოქტომბრიდან 23 ოქტომბრამდე მოლაპარაკებს აწარმოებდა ჩინეთის მთავრობის ხელმძღვანელებთან.

პრემიერ-მინისტრ ნერუს საუბარი ჰქონდა 19 ოქტომბერს საღამოს და 20 და 21 ოქტომბერს დღისით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო მინისტრ ჯოუ ენ-ლაისთან; 22 ოქტომბერს დილით პრემიერის მოადგილეებთან ჩენ იუნთან და ლი ფუ-ჩუნთან; 22 ოქტომბერს დღისით — წყალთა მეურნეობის მინისტრ ფუ ძო-ისთან; 22 ოქტომბერს დღისით — პრემიერის მოადგილე დენ ძი-ხუეისთან და 23 ოქტომბერს დღისით — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ გო მო-ჟოსთან და კულტურის მინისტრ შენ იან-ბინთან.

ნორვეგიელი ხალხი აღნიშნავს საბჭოთა არმიის მიერ ჰიჯლერელი ოკუპანტებისაგან ჩრდილოეთ ნორვეგიის განთავისუფლების მეათე წლისთავს

ოსლო, 25 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა არმიის მიერ ჩრდილოეთ ნორვეგიის განთავისუფლების მე-10 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით გუშინ ოსლოში საბჭოთა მეომრების ძეგლთან გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ ქალაქის ხელისუფალთა წარმომადგენლები ქალაქ ოსლოს მერის ბულის მეთაურობით, ნორვეგიაში სსრ კავშირის საელჩოს, „ნორვეგია-სსრ კავშირის“ საზოგადოების, ნორვეგიის კომუნისტური პარტიისა და მთელი რიგი პროფკავშირების წარმომადგენლები. ძეგლის კვარცხლბეკი შეამკეს ყვავილებით. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ქალაქ ოსლოს მერმა ბულმ, რომელმაც განაცხადა: „მადლობას ვუცხადებთ ჩვენს მოკავშირეს, რომელმაც დახმარება გაგვიწია კვლავ მოგვეპოვებინა თავისუფლება“.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე „ნორვეგია-სსრ კავშირის“ საზოგადოების თავმჯდომარე ჰენრიკ ფინე, ნორვეგიის კომპარტიის თავმჯდომარის მოადგილე სტრანდ-იოჰანსენი, ნორვეგიის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის წარმომადგენელი და პროფკავშირთა წარმომადგენელი.

გაზეთები იუწყებიან, რომ მიტინგი გაიმართა აგრეთვე ბერუმის კომუნის სასაფლაოზე დაკრძალული საბჭოთა ჯარისკაცის საფლავთან. საფლავი ყვავილებით შეამკეს.

საბჭოთა არმიის ჯარისკაცთა და ოფიცერთა ჯგუფის დაჯილდოება უნგრეთის ორდენებით

ბუდაპეშტი, 25 ოქტომბერი. (საკდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა ორდენებითა და მედლებით დააჯილდოდა საბჭოთა არმიის ჯარისკაცთა და ოფიცერთა დიდი ჯგუფი დუნაიზე წყალდიდობის დროს მაშველ სამუშაოებში მონაწილეობისათვის. 5 კაცი დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით, 18 კაცი — ორდენით „თვალსაჩინო სამსახურისათვის“ და 57 კაცი — მედლით „სამსახურისათვის“. გარდა ამისა, მთელი რიგი მებრძოლები დაჯილდოებული არიან საპატიო ნიშნით „წყალდიდობისაგან დაცვისათვის“.

ოპოზიციურ მოღვაწეთა დევნა ირანში

თეირანი, 25 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთ „ფერმანის“ ცნობით, 24 ოქტომბერს ღამით პირველი ინსტანციის სამხედრო სასამართლომ ბრიგადის გენერლის სადეგის თავმჯდომარეობით განიხილა გამოიტანა იმ ოფიცერთა მეთოხე ჯგუფის საქმეზე, რომელთაც ბრალად ედებათ ოპოზიციური ორგანიზაციის წევრობა. ოფიცერებს მანუჩეჰრის, მინუნეჯადს, ბასირის, ამოლაასემ-ზადესა და კარაკუის მიესაჯათ სიკვდილი, ხოლო ნაზარისა და ჰურმოხტარს — სამუდამო პატიმრობა.

ყველა მსჯავრდადებულმა განაჩენი გაასაჩივრა ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

ინგლისის პარლამენტის წევრის განცხადება

ლონდონი, 25 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც პრეს ასოშიეიშნის საგენტო იუწყება, პარლამენტის ლეიბორისტმა წევრმა ერდვარდსმა აბერდეერში (გლამორგანშირის საგრაფო) გაიკეთა ინფორმაცია საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ და განაცხადა: „დავრწმუნდი, რომ დადგა დრო უმაღლეს სფეროებში დაიწყონ მოლაპარაკება და რომ რუსები მზად არიან, მხედველობაში აქვთ რა მშვიდობიანი თანაარსებობა, შეთანხმდნენ გრძელვადიან ვალდებულებებზე. დროა ვიმოქმედოთ, სანამ რაიმე ინციდენტის გამო ზარბაზნები ალაპარაკდებოდნენ“.

სპორტის ამგვები

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ბელგრადში

ბელგრადი, 25 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გაიმართა მეოთხე ტური. დაძაბული იყო საბჭოთა გროსმაისტერ ბრონშტეინისა და იუგოსლავიელ გროსმაისტერ პირცის შეხვედრა. პარტია ყაიმით დამთავრდა.

დიდი გართულების შემდეგ ნიეერგელტმა (შვეიცარია) მოუგო იანოშევიჩს (იუგოსლავია). საუკეთესოდ ითამაშა მთელი პარტია ბარცამ (უნგრეთი) და მოუგო პორეკას (იტალია). ყაიმით დამთავრდა რაბარ (იუგოსლავია) — ვეიდის (ინგლისი) და პილნიკ (არგენტინა) — ოიპენის (დასავლეთ გერმანია) პარტიები. მატანოვიჩმა მოუგო ჯურაშევიჩს (ორივე — იუგოსლავია).

მეხუთე ტური გაიმართება 26 ოქტომბერს.

24 ოქტომბერს დილით მიმდინარეობდა დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება. იკოვ-პირცის პარტიაში (პირველი ტურიდან) მოწინააღმდეგეები ყაიმზე შეთანხმდნენ. მატანოვიჩმა მოუგო პილნიკს, ხოლო კარაკლაიჩმა — პორეკას. ბარცას უპირატესობა გლეიჩიანის წინააღმდეგ გამარჯვებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. პარტია დამთავრდა ყაიმით. ჩერნიაკი თამაშის განუახლებლად დანებდა ნედელკოვიჩს. იოპენ-პირცის პარტია კვლავ დაუმთავრებელი დარჩა თეთრებისათვის აშკარად უპირატესი მდგომარეობით.

საბჭოთა ფეხბურთელები ბრიუსელს ჩავიდნენ

ბრიუსელი, 25 ოქტომბერი. (საკდესი). 24 ოქტომბერს ბრიუსელს ჩამოვიდა მოსკოვის საზოგადოება „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდი. 27 ოქტომბერს საბჭოთა ფეხბურთელები ბრიუსელის სტადიონზე შეხვდებიან ბელგიის ჩემპიონს „ანდერლეხტის“ გუნდს. 1 ნოემბერს მოეწყობა ქალაქ ლიეჟის ნაკრებ გუნდთან შეხვედრა. საბჭოთა ფეხბურთელები ბელგიიდან ინგლისს გაემგზავრებიან.

თბილისის დინამოელთა დებრუნება მოსკოვში

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი — თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივი ეგვიპტესა და სირიაში საერთაშორისო ამხანაგური მატჩების დიდი წარმატებით ჩატარების შემდეგ სირიიდან მოსკოვში დაბრუნდა.

25 ოქტომბერს დინამოელ კალათბურთელთა ერთი ჯგუფი თბილისში გამოემგზავრა. მეორე ჯგუფი მოსკოვიდან თბილისში გამოემგზავრება 27 ოქტომბერს.

დასკვნითი შეჯიბრება სტალინოგორში

სტალინოგორ. 25 ოქტომბერი. აქ მიმდინარეობს „ბ“ კლასის ქვეჯგუფებში გამარჯვებულების — ერევნის „სპარტაკის“, ბაქოს „ნეფტანიკის“, მოსკოვის „ზენიტის“, ვილნიუსის „სპარტაკის“, სტალინოს „მახტიორისა“ და დონის როსტოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდების დასკვნითი ასპარეზობა. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი გადაყვანილ იქნება „ბ“-დან „ა“ კლასში და 1955 წელს მონაწილეობას მიიღებს XVII ჩემპიონატში.

25 ოქტომბერს გაიმართა მორიგი შეხვედრა. საინტერესო ბრძოლის შემდეგ მოსკოვის „ზენიტმა“ მოუგო ბაქოს „ნეფტიანიკს“ 1:0.

ამრიგად, 26 ოქტომბრამდე გამართული 3 მატჩიდან სამივე დამთავრდა ერთი და იმავე ანგარიშით 1:0. სტალინოს „მაბტიორს“, ვილნიუსის „სპარტაკს“ და მოსკოვის „ზენიტს“ შეგროვებული აქვთ ორ-ორი ქულა. ერევნის „სპარტაკს“, ბაქოს „ნეფტიანიკს“ და დონის როსტოვის „ტორპედოს“ აქვთ 0 ქულა თვითეულს. შეჯიბრება გრძელდება.

დუშეთი. პარტიის რაიონული კომიტეტის ახალი შენობის ხედი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

თბილისს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კოოპერაციის მოღვაწეთა დელეგაცია

26 ოქტომბერს თბილისს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სარეწაო კოოპერატივების ცენტრალური კავშირის დელეგაცია კავშირის თავმჯდომარის იან პიშტეკის მეთაურობით. ოელეგაცია საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფება სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს გამგეობის მოწვევით.

დელეგაცია გაეცნობა საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის მუშაობას.

გუშინ სტუმრები გაემგზავრნენ ქალაქ გორში, სადაც დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი. (საკდესი).

ტანსაცმლის ახალი მოდელის პოპულარიზაცია

საქართველოს მოდელების სახლმა ფართო მუშაობა გააჩაღა მშრომელთა შორის ტანსაცმლის ახალი მოდების პოპულარიზაციისათვის. აქ მოწყობილია მუდმივი სტაციონარული გამოფენა და მეორე მოძრავი გამოფენა.

გამოფენები მომარაგებულია ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ყველა სეზონის სხვადასხვა ტანსაცმლის მოდელებით. აქვე იყიდება ტანსაცმლის თარგები.

წელს მოდელების სახლის მოძრავი გამოფენა ნაჩვენები იყო გორში, ქუთაისსა და ბათუმში, სადაც იგი მრავალმა მშრომელმა დაათვალიერა. გამოფენაზე გაიყიდა 7.000 თარგი.

ამჟამად მოდელების სახლის კონსტრუქტორები, მხატვრები და მოდელიერები მუშაობენ გამოფენისათვის ახალი და ლამაზი მოდელების შესაქმნელად.

ოთხ დათვთან ბრძოლა

ჯავა. (საკ. კორ.). მთიანი ქეშელთის კოლმეურნეობას ბევრჯერ მოსვლია ზარალი სოფლის მიდამოებში შემოჩვეული დათვებისაგან.

ამ დღეებში ახალგაზრდა მონადირემ გ. კალაევმა გადაწყვიტა დათვებზე სანადირო წასვლა. მონადირე ავიდა მთის წვერზე, საიდანაც ოთხ დათვს მოჰკრა თვალი. აღამიანის დანახვაზე დათვები დიდ ლოდებში მიიმალნენ. კალაევი ლოდებისაკენ გაეშურა. გამოცდილი მონადირე ალღოთი მიხვდა, რომ იქ დათვების ბუნაგი იქნებოდა და გრძელი ჯოხით მოსინჯა ლოდებშუა ხვრელი. იქიდან დათვი ვამოვარდა. კალაევი არ დაიბნა და თოფი დაახალა. დათვი დაეცა. თოფის ხმამ სხვა დათვები გაახელა და ისინი მონადირისაკენ გაექანენ. კალაევი მოხერხებულად დახტოდა ლოდებზე და თან ესროდა დათვებს. მარჯვე სროლით კიდევ ორი მოკლა. მეოთხე დათვი დაფრთხა და გაიქცა.

ახალგაზრდა მონადირეს გ. კალაევს 30-ზე მეტი დათვი ჰყავს მოკლული.

„საქართველოს კოლმეურნე“ № 10

გამოვიდა და ხელისმომწერლებს ურიგდება ყოველთვიური სამეცნიერო-საწარმოო ჟურნალის „საქართველოს კოლმეურნის“ მორიგი, მე-10 ნომერი.

ჟურნალი იხსნება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეხუთე წლისთავისადმი მიძღვნილი გვერდით. მოწინავე სტატია ეხება პირუტყვის გამოზამთრების სანიმუშოდ მოწყობის საკითხებს.

ჟურნალში დაბეჭდილია სტატიები ი. გიორგბერიძისა — „დასავლეთ საქართველოს პიროებებში მებოსტნეობისა და მეხილეობის შემდგომი განვითარების ზოგიერთი საკითხისათვის“, ი. ფეიერშვილისა — „დაეიცვათ ვაზი ყინვებისაგან“, ვ. ქანთარიასი — „ვაზის კვადრატულ-ჯგუფური გაშენება“, გ. ნაჭყებისი და ს. ბუაჩიძისა — „ელექტროტრაქტორების გამოყენების საკითხისათვის“, გ. ჩხენკელისა — „დიდქანობიანი ფერდობების მორწყვა“, დ. კობალავასი — „კოლმეურნეობებში ცოცხალი გამწევი ძალის რაოდენობის დადგენის შესახებ“, გ. დოლიძისა — „მეცხოველეობის ნაგებობათა დაგეგმვა და განლაგება“, მ. ჩხეიძისა — „აღვაკეთოთ კაკლის კულტურის შეუფასებლობა“ და სხვ.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე თბილისის გარეუბნის რაიონის ავჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ნ. ბაიდაურის, ახალციხის რაიონის სოფელ ურაველის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ე. წიკლაურის, ასპინძის რაიონის სოფელ ოშორას ვანო სტურუას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ო. დანელიას, ახალქალაქის რაიონის სოფელ ოკამის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეფუტკრეობის ფერმის გამგის ი. ტალახაძის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის წულუკიძის № 9 სასწავლებლის დირექტორის ლ. გოფაძის წერილები, აგრეთვე იურიდიული კონსულტაცია, სპორტული ინფორმაცია, ინდური ფილმის „ორი ბიგხი მიწის“ რეცენზია და სხვა მასალები.

ჟურნალი უხვად არის ილუსტრირებული.

ა მ ი ნ დ ი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 28 და 29 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ. აღმოსავლეთის სუსტი ქარი, ხოლო მდინარე რიონის ხეობაში დროგამოშვებით ძლიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 10-15, დღისით 22-27 გრადუსი სითბოს; მთიან რაიონებში ღამით 4-9, დღისით — 15-20 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 8-13, დღისით 21-26 გრადუსი სითბოს; მთიან რაიონებში ღამით 3-8, დღისით 16-21 გრადუსი სითბო.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაკიკიძე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დ ღ ე ს
მეორე ციკლი
რსფსრ დამსახურებული არტისტის
იური დუროვისა
განსაკუთრებული პროგრამით
დიდი საცირკო წარმოდგენა
3 განყოფილებად
საბჭოთა ცირკის წამყვანი ოსტატების მონაწილეობით

კვირაობით დღის 2 საბავშვო წარმოდგენა
საღამოს წარმოდგენების დასაწყისი
8 ს. და 30 წ.,
დღის — 12 ს. და 3 საათზე.
ბილეთების წინასწარ შეძენა შეიძლება საბცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლუქტიურ დასწრებაზე.

ДИСЕРТАЦИЕБИС ДАЦВА
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი
(ზელიქაშვილის ქუჩა № 10)

16 ნოემბერს დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:
1. **რევაზ მიხეილის-ძე მესხრიაძე** თემაზე: „პანკრეასის გარეგანი სეკრეციის ქერქული რეგულაციის საკითხისათვის“.
2. **გიორგი ნიკოლოზის-ძე მარკოზაშვილი** თემაზე: „სტომატოლოგიის ისტორიის საკითხისათვის საქართველოში“.

შრომების გაცნობა შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქუჩა № 2).

ДЕСЯТЬ ТБИЛИСИСА ТЕ АВРЕБСА ДА КИНОЕБШИ

მარჯანიშვილის სახელობის — დაბრუნება, **გრიბოედოვის სახელობის** — ნურას უაკცრავად, **მუსიკალური კომედიის** — ორი რეკორდი, **სომხური დრამის** — სიყვარული გარიერაეზე (აბონემენტი № 6), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — მაშენკა (აბონემენტი № 16, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მშვენიერი ვასილისა (1 ს. 30 წ.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ბაღდადელი ქურდი, **კოლმეურნე, კომუნარების ბაღი** — ავარა (I სერია), **კომკავშირელი, ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ავარა (II სერია), **კოლხიდა** (საზაფხულო) — ქარიშხალი, **დიდუბე** (საზამთრო და საზაფხულო), **გორკის სახელობის კლუბი** — ექსპრესი ნიურნბერგიდან.

დედა ალექსანდრა, მეუღლე თემურ, შვილები თამაზ, ანდრო, და მარგო, ძმა ოთარ, სიძე გიორგი კოსტავა, მამიდები ნინო ნინიძე, ნეონილა გურგენიძე ოჯახებით იუწყებიან **ნათელა დიონისეს ასულ გურგენიძე-წულაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27-X, 8 ს. გამოსვენება 28-X, 4½ ს. მერკვილაძის ქ. № 2.

დედა ტასო, დედამთილი ანეტა, მეუღლე იოსებ ლორთქიფანიძე, დები მარო, შუშანა, სონია, სიძეები მ. დანელია, ბ. გოგაძე, შაზლი მამია ცოლშვილით, დისწულები ნოდარ, ლამარა, მერი, ციალა, თენგიზ იუწყებიან **თინა ევგენის ასულ ახვლედიანი-ლორთქიფანიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-X ქვედა ვანში (ვანის რ.).

მეუღლე ანა, შვილები შოთა, თამარ, ტერეზა ქებულაძეები, სიძე ვლადიმერ, შვილიშვილები მარიამ, შოთა, ქეთო მიქაძეშვილები იუწყებიან **პარმენ ოქროპირის-ძე ქებულაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-X ქუთაისში. გამოსვენება სტუდიას ქუჩის II შესახვევი № 4.

მკითხველთა დასახმარებლად

დასავლეთი ირანი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესიის დღის წესრიგში შეტანილია დასავლეთ ირანის საკითხი. მას მეხუთე საკითხად განიხილავენ პოლიტიკურ და სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტებში. ეს საჩივარი ინდონეზიის მთავრობამ აღძრა.

სად იმყოფება ეს ტერიტორია, როგორია მისი სტრატეგიული მდებარეობა, რატომ არის დასავლეთ ირიანის გამო კონფლიქტი ინდონეზიასა და ჰოლანდიას შორის?

სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს შორის ინდონეზია ყველაზე დიდი ქვეყანაა. მისი ტერიტორია შეადგენს 1.904 ათას კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა — 80 მილიონს. ამ ქვეყნის ტერიტორია განლაგებულია ათასობით დიდ და პატარა კუნძულებზე. ისეთ დიდ კუნძულებზე, როგორიც არის სუმატრა, ბორნეო, იავა, ცელებესი და სხვ., თვითეულზე თავისუფალ მოთავსდება ევროპის რამდენიმე სახელმწიფო.

ინდონეზიის აღმოსავლეთით მდებარეობს კუნძული ახალი გვინეა, რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ხალხები ირიანს უწოდებენ. ეს კუნძული გრენლანდიის შემდეგ ყველაზე დიდი კუნძულია მთელ მსოფლიოში. მისი ტერიტორია 806 ათას კვადრატულ კილომეტრს უდრის, ხოლო მოსახლეობა რამდენიმე მილიონია.

ირიანი (ახალი გვინეა) უშუალოდ ესაზღვრება ინდონეზიის კუნძულებს და მათთან ერთად შეადგენს ერთიან გეოგრაფიულ ერთეულს.

ამ ტერიტორიის ერთი ნაწილი — დასავლეთი ირიანი დღემდე ეკუთვნის ჰოლანდიას. წინათ კი იგი შედიოდა „ნიდერლანდის ინდოეთში“ (ინდონეზიაში) და ერთ-ერთ პროვინციას წარმოადგენდა. დასავლეთ ირიანის ტერიტორია უდრის 412 ათას კვადრატულ კილომეტრს, ე. ი. მთელი ახალი გვინეის ნახევარს, მოსახლეობა კი დაახლოებით ერთ მილიონამდეა. იქ უმთავრესად ცხოვრობენ პაპუასები, ევროპელები კი უმნიშვნელო რაოდენობით არიან.

ირიანის ჩრდილოეთი ნაწილი 1880-1885 წლებში გერმანელებმა დაიპყრეს, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ის გერმანიას ჩამოერთვა და ავსტრალიას გადაეცა. როგორც სამანდატო ტერიტორია. ავსტრალიის ფედერაციას ეკუთვნის აგრეთვე ახალი გვინეის მეორე ნაწილი — პაპუა. ამრიგად, ნახევარ ახალ გვინეაზე დღემდე თარეშობენ ავსტრალიელი კოლონიზატორები, ნახევარზე კი — ჰოლანდიელები.

ეს ტერიტორია მეტად მდიდარია წიაღისეულით, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროთი, მაგრამ დღემდე ნაკლებად არის შესწავლილი. იქ მოიპოვება ნავთობი, ოქრო, ქვანახშირი, ნიკელი, რკინის მადნები, ვერცხლი და სხვ. ამ ბოლო დროს აღმოჩენილ იქნა ურანი. დიდი ტერიტორია უჭირავს ტყის მასივებს. ბევრია კაუჩუკის, შაქრის ლერწმის, ბანანის პლანტაციები.

როგორც ცნობილია, ინდონეზიაში 350 წელზე მეტს ბატონობდნენ ჰოლანდიელი კოლონიზატორები.

მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონელი დამპყრობლები შეიჭრნენ ინდონეზიაში და მოახდინეს მთელი არქიპელაგის ოკუპაცია. ახალ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად ერთსულოვნად აღდგა მოსახლეობა. შეიქმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი შეიარაღებული ძალები. მოძრაობას სათავეში ედგა ინდონეზიის კომუნისტური პარტია, რომელიც 1919 წლიდან არსებობს. იაპონელი ოკუპანტები განდევნილ იქნენ. 1945 წელს ინდონეზია გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. მაგრამ არქიპელაგზე გადასხდნენ ინგლისის ჯარები, ხოლო შემდეგ ჰოლანდიის ჯარები. ჰოლანდიელი კოლონიზატორები კვლავ შეეცადნენ ინდონეზიის ხალხებისათვის წაერთმიათ დემოკრატიული მონაპოვარნი, კვლავ დაედგთ მათთვის მონობის უღელი.

მაგრამ ხალხმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მათ. ოთხ წელიწადს გაგრძელდა კოლონიური ომი. ჰოლანდიელებს დიდ დახმარებას უწევდნენ ამერიკელი და სხვა ქვეყნების იმპერიალისტები. ისინი ამარაგებდნენ მათ იარაღით, საჭურველით, ფულით, მაგრამ ისინი მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. ბოლოს ჰოლანდიელები იძულებული იყვნენ დათანხმებულიყვნენ სომარი მოქმედების შეწყვეტაზე და კონფერენციის მოწვევაზე, რომელიც მოწესრიგებდა კონფლიქტს.

მართლაც, 1949 წელს ჰოლანდიის დედაქალაქ ჰაგაში შედგა „მრგვალი მაგიდის“ კონფერენცია. კონფერენციის ინდონეზიისა და ჰოლანდიის წარმომადგენლებს გარდა ესწრებოდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი. მიღებულ იქნა ისეთი შეთანხმება, რომელიც ფორმალურად ინდონეზიას ანიჭებდა დამოუკიდებლობას, ხოლო ფაქტიურად იგი დამოკიდებული რჩებოდა ჰოლანდიაზე. ეს გადაწყვეტილება ხელ-ფეხს უხსნიდა ამერიკელ და ინგლისელ კაპიტალისტებს ამ ქვეყნის ეკონომიკაში გასაბატონებლად. მაშინ ინდონეზიის თავს მოახვეს ჰოლანდია-ინდონეზიის კავშირი,



რაც აშკარად ლახავდა ინდონეზიის სახელმწიფო სუვერენიტეტს. ჰოლანდიამ თავის მფლობელობაში დაიტოვა დასავლეთი ირიანი.

„მრგვალი მაგიდის“ კონფერენციის ამ უთანასწორო გადაწყვეტილების წინააღმდეგ კვლავ აღდგა ინდონეზიის მოსახლეობა. იგი გადაჭრით მოითხოვდა ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობას. ჰოლანდიელები იძულებული იყვნენ კვლავ გაემართათ მოლაპარაკება ინდონეზიის წარმომადგენლებთან. მომდინარე წლის პირველ ივლისს დაიწყო მოლაპარაკება და 10 აგვისტოს მიღწეულ იქნა შეთანხმება ჰოლანდია-ინდონეზიის კავშირის გაუქმების შესახებ. ამრიგად, ინდონეზია განთავისუფლდა ჰოლანდიის ბატონობისაგან და გახდა დამოუკიდებელი.

ამავე დროს ჰოლანდიამ უარი უთხრა ინდონეზიას დაუბრუნოს დასავლეთი ირიანი, რომელიც ინდონეზიის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია.

როგორც ინდონეზიით, ისე განსაკუთრებით დასავლეთი ირიანით დიდად დაინტერესებული არიან ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები. ეს გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ ინდონეზიის სტრატეგიულ მდებარეობას. ინდონეზიის არქიპელაგი აზიისა და ავსტრალიის შემაერთებელი რგოლია. იგი ყოფს ორ ოკეანეს — წყნარსა და ინდოეთისას. აქ გადის უმნიშვნელოვანესი საზღვაო და საჰაერო კომუნიკაციები, რომლებიც შორეულ აღმოსავლეთს აკავშირებენ ევროპასთან. ამერიკელები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ დასავლეთ ირიანს. მათ უნდათ იგი აქცევონ მეორე ტაივ